ლეონტი ულენტი

მოგონებანი

როგორ შთაბეჭდილებას და განცდას იწვევდა პირადი შეხვედრა და საუბარი ნოე ჟორდანიასთან

მიზეზები

ოცდაექვსი მაისის

წარმოშობისა და დღესასწაულობისა

პარიზი, 1964.

ავტორისაგან: დიდი მადლობა ქ-ნ პოლინე ჩაჩავას, რომლის დახმარებით გამოიცა ეს წიგნი.

მოგონებანი

თავი პირველი

ეს იყო 1908 წლის მარტიამობისთვის მიწურულში.

იმ დროს ბაქოში გამწვავებული ბრძოლა სწარმოებს ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის, რომლებსაც უკვე თავიანთი ჩამოყალიბებული აღმასრულებელი ორგანოები აქვთ: ბოლშევიკებს — **„ბაქოს კომიტეტი**, ბაქოს ს. დ. მ. პარტიისა“ და მენშევიკებს — **„ხელმძღვანელი კოლექტივი**, ბაქოს ს. დ. მ. პარტიისა“.

„ბაქოს კომიტეტი“ ავრცელებს „პროკლამაციას“, რომლითაც მუშებს იწვევს საერთო გაფიცვისაკენ და შეიარაღებული აჯანყების მზადებისათვის. **„ხელმძღვანელი კოლექტივი“** ამ დროს საზარალოდ სთვლის მუშების გაფიცვების მოწყობას, ვინაიდან გაფიცვა მათი დამარცხებით გათავდებოდა და უფრო ცუდი მდგომარეობა შეიქმნებოდა.

ხელმძღვანელმა კომიტეტმა“ რათა თავისი შეხედულება გააცნოს ბაქოს მუშათა კლასს, გადასწყვიტა „პროკლამაციითვე“ უპასუხოს. ამიტომ დაგვავალა „კოლექტივმა“ მე და „ამდაღს“ (**ანდრო ანჯაფარიძეს**), გვენახა ნოე ჟორდანია, რომელიც იმ ხანად ბაქოში იყო, (თუმცა ადმინისტრაციის თვალყურის დევნაში იმყოფებოდა), რომ მას შესაფერისი „პროკლამაცია“ შეედგინა.

საღამოს ცხრა საათი იქნებოდა, რომ ნოეს ბინაზე ვესტუმრეთ. მას თურმე უკვე დაემზადებინა „პროკლამა-

ცია“ და რა მიგვიღო, დაუყონებლივ თვითეულს წინ დაგვიდო სუფთა ქაღალდის ფურცელი და გვითხრა:

— წერეთ!

ნოეს ხელში უჭირავს თავისი ნაწერი და კითხულობს. ორივე შევუდექით კარნახით წერას. რამოდენიმე წუთის შემდეგ ვიგრძენი, რომ უკვე ვერ ვასწრებ სიტყვების დაჭერას და ვამბობ:

— მომეცი და გადავწერ!

ნოემ სიტყვა არ გამცა და განაგრძო კარნახი, მიაპყრო რა თვალები „ამდაღას“, რომელიც ბეჯითად სწერს თავჩაღუნული. გაათავა კათნახი და მოსთხოვა „ამდაღას“ განმეორება. „ამდაღამ“ გადაიკითხა და ნოემ თავისი ნაწერი ნაკლწნაკუწად აქცია და იქვე „ფეჩში“ შეჰყარა. მერმე მომიბრუნდა და მითხრა ღიმილით:

— გაჯობა გურულს მეგრელმა! ვიქტორ! ჯერ გამოცდილება გაკლია და ეცადე! ვაუფრთხილდით ხელნაწერს! თუ ჩაიგდეს ხელში ოთხი წლის კატორღა არ აგცილდებათ! ახლა კი ჩქარა გასწით!

მე სირცხვილისაგან დავიწვი. როცა ეს ამბავი მაგონდება ახლაც ვწითლდები ხოლმე...

თავი მეორე

1910 წელში ქალაქ ბაქოსა და მის სამრეწველო რაიონებში ქართველობა საგრძნობლად მომრავლდა. იქ იყო დაარსებული „ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ რომლის საწევრო გადასახადი წლიურად იყო სამი მანეთი. ბაქოს ქართველობის უმრავლესობის შემადგენლობა მცირე-შემოსავლიანი იყო და ამიტომ წლიური გადასახადი, სამი მანეთი, მისთვის სიმძიმეს წარმოადგენდა და მიუხედავად სურვილისა, საზოგადოების წევრად ვერ ეწერებოდა. საზოგადოების ძველი წევრები კი წინააღმდეგი იყვნენ საწევრო გადასახა-

დის შემცირებისა, სამი მანეთიდან მანეთ-ნახევრამდე, რასაც სოციალდემოკრატები მოითხოვდნენ.

ვინაიდან ქართველობას არ ეყვარდა უსაზოგადოებოდ ყოფნა და ეს მისი ბუნებრივი მოთხოვნილება იყო, სოციალდემოკრატების თაოსნობით დაარსდა ახალი ქართული საზოგადოება, სახელწოდებით: **„ქართული სალიტერატურო-სამხატვრო წრე"**. დაარსებისათანავე ორმოც დაათზე მეტი წევრი ჩაეწერა. საზოგადოების წესდების დასამტკიცებლად მოწვეულ საზოგადო კრებაზე ყველანი გამოუკლებლივ გამოცხადდნენ. ამხანაგთა შორის ჩუმი თათბირი შეიქნა და ერთი მეორეს აცნობეს, რომ კრებაზე ნოე ჟორდანიაც დაგვესწროო. ყველას სიამოვნების ლიმილი მოედო და ანდრო დოლიძემ გამოსთქვა სურვილი ნოე კრების თავმჯდომარედ აერჩიათ. ფარულად ამის მოგვარება დავავალეთ კორძაიას (ლადო). ნოემ ვადაჭრით უარი შემოგვითვალა.

საინიციატივო კომისიის თავმჯდომარემ, პლატონ თალაკვაძემ კრება გახსნა და შესავალი მოკლე სიტყვის შემდეგ, მან მე თავმჯდომარედ დამასახელა. კრებამ ერთხმად მიიღო ჩემი თავმჯდომარეობა. როდესაც ჩემი ადგილი დავიჭირე და კრებას გადავხედე, მაშინვე ჩემი თვალი მიიპყრო ნოეს სახის გამომეტყველებამ. სული მოვითქვი და კრებისაგან ნდობის გამოცხადების გამო მადლობის სიტყვას დავუმატე: რომ ასეთ დიად კრებას ეკუთვნოდა უფრო მხცოვანი პიროვნება, რომლითაც არ არის მოკლებული დღევანდელი შეკრებილი, პატივცემული საზოგადოება-მეთქი.

— განაგრძე! — მომესმა ნოეს ხმა.

კრებამ უცვლელად დაამტკიცა საზოგადოების წესდება და აირჩია გამგეობა სამი კაცისაგან: პლატონ თალაქვაძე, ანდრია (ბაგრატ) დოლიძე და მე. გამგეობამ მე თავის თავმჯდომარედ ამირჩია, მდივნად — პლატონ თალაქვაძე და მოლარედ ანდრო დოლიძე.

ანდრო დოლიძე ბოლშევიკი იყო, მაგრამ ქართული საქმის მეტად მოყვარული და პატრიოტი. წერაც ძლიერ უყვარდა ქართულად. და წამოიჭრა გამგეობის წინაშე საკითხი, დროგამოშვებით, ჟურნალის გამოცემისა, რაც ერთსულოვნად იქმნა მიღებული. გაიმართა ხელისმოწერა თანხის შესაგროვებლად და გამგეობის ნაბიჯი გამართლდა. შესაფერი თანხა შეგროვდა და ჟურნალის მთავარი ხელმძღვანელის მონახვას შევუდექით, თუმცა მე და თალაქვაძეს წინ და წინ სახეში გვყავდა უსათუოდ ნოე. რომელიც იმ დროს ბაქოში იყო თავისი ცოლშვილით.

გამგეობამ მომანდო ნოესთან მოლაპარაკება. ვნახე ნოე და მას ავუხსენი ჩვენი გეგმა ჟურნალის შესახებ; მან წარბი სიამით ასწია და მითხრა:

— ყოჩაღ, ბიჭებო! ასე უნდა მოქმედება! მაგრამ რომელ ტიპოგრაფიაში უნდა ავაწყოთ?! — ვკითხეს:

— ასოთამწყობი ჩინებული გვყავს და გაზეთ „კასპიის“ ტიპოგრაფიაში მუშაობს. ის ჩვენი ამხანაგია და ტიპოგრაფების პროფესიანალური კავშირის მდივანია, სამსონ დობორჯგინიძე.

— ძლიერ კარგი! რა სახელი ვუწოდოთ ჟურნალს?

— თქვენ რას გვეტყვით?

— არ მიფიქრია, ხომ იცი!

— მაინც ეხლა ვთქვათ.

ნოე ცოტა დაფიქრდა. მერმე ამბობს:

— მოდი დავარქვათ „წყარო“, თუ თქვენ მოგეწონებათ!

— მე მომწონს, მხოლოდ გამგეობამ უნდა დაადასტუროს.

— ასე ქენი. მე მოწინავეს დავამზადებ და რაც შეეხება „კასპიის“ რედაქციას, მე თვითონ გავაკეთებ ვერმიშევთან საქმეს. (ვერმიშევი გაზეთ „კასპიის“ რედაქტორი იყო). მხოლოდ მაინც და მაინც ჩემი მონაწილეობის ამბავს ნუ გაავრცელებთ. — მითხრა და მთელი სახის გამომეტყველება ისე გაუნათლდა, თითქოს წმიდანიაო. ასე მეჩვენა.

ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. გამგეობას ყველაფერი მოვახსენე; უდავოდ და სიხარულით მიიღო მან ჟურნალის სახელწოდება „წყარო" და ნოეს მონაწილეობა და ხელმძღვანელობა.

რაღა გავაგრძელო, ქართული ჟურნალი „წყარო" გამოვიდა ბაქოში. ეს დიდ „სენსაციად" გახდა ყველასათვის. ჟურნალის მოწინავე წერილში მთელის პრინციპით გაიელვა შეხედულებამ ეროვნულ საკითხზე და განსაკუთრებით ქართულის მიმართ.

განურჩევლად, ქართველობაში პოლიტიკური მიმართულებისა, ყველანი დიდის ყურადღებით და პატივისცემით ისსენიებდნენ „პატარა კაცების საზოგადოებას". (ასე ეხმობდნენ ჩვენს საზოგადოებას).

არ მახსოვს, რამდენი ცალი გამოიცა „წყარო", მაგრამ ცდა იყო, რათა არც ერთი ქართველი და მუშა არ დარჩენილიყო უმისოდ. ის, ყველა ქართულ ქალაქში და დაბებშიც კი დაიგზავნა.

ჩვენი ცდა, რომ მეორე ნომერი „წყარო"-სი ნოესვე ხელმძღვანელობით გამოგვეცა, სამწუხაროდ, ალარ მოხერხდა. მიზეზი! არ მახსოვს, ერთი თვე, თუ მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც რომ პირველი ნომერი გამოვიდა, ნოე მიბარებს დანიშნულ ადგილას. მეც ვიახელ. მისალმების შემდეგ იგი მეუბნება:

— მე სასამართლოში ვარ მიცემული და უნდა წავიდე ქუთაისში; იქ გაირჩევა ჩემი საქმე. არ ვიცი, თუ რამდენ ხანს გასტანს საქმის გარჩევა და ამიტომ ჩემს მაგიერობას ვაკისრებ ფილიპე მახარაძეს, თუ თქვენც თანახმა იქნებით.

მეწყინა. მანაც შემატყო. მაგრამ, დაფიქრებული ლიმილით, მეუბნება:

— შესაძლებელია მალე გათავდეს პროცესი და მეც მალე ჩამოვბრუნდები აქ. იყავით ყოჩაღად.

სიტყვა ყელში შემრჩა. ზე წამოვდექი და გამარჯვება ვუსურვე.

გამგეობას მოვახსენე ნოეს სურვილი. ერთობ საწყენად გაუხდა, მაგრამ დაადგინა:

— მიენდოს პლატონ თალაქვაძეს დაუკავშირდეს ფილიპე მახარაძეს და მასთან ზეთანხმებით მოაწყოს ჟურნალი „წყარო“ გამოცემა.

შემდეგ შევიტყვეთ, რომ ნოე სასამართლოში მიცემულ იყო მის მიერ ქართულად დაწერილი წიგნის „ანარხიზმი და სოციალიზმი“-ს გამო.

თუმცა ფილიპე მახარაძე და პლატონ თალაქვაძე კარგ პირად განწყობილებაში იყვნენ ურთიერთ შორის, მაგრამ როგორც პირველი, უკომპრომისო ბოლშევიკი იყო, მეორეც სრულის შეგნებით მენშევიკი იყო. ამიტომ პოლიტიკური მუშაობა მათ შორის რამდენიმედ ფარდა აფარებული არსებობდა. გამგეობის წევრები დაკავებული ვიყავით კერძო სამსახურშიდაც და მუდმივი თვალყურის დევნება ფილიპეზე შეუძლებელი იყო და აგრეთვე, რა ნოემ მას, ფილიპეს, დააკისრა და ნდობაც გამოუცხადა, ჩვენც გაუბედავად ვეპყრობოდით. რაღა გავაგრძელო: ჟურნალი „წყარო“, მეორე ნომერი, გამოვიდა და ვაი ამისთანა გამოსვლას! მისი მოწინავე სრულებით მოწინააღმდეგე აზრით გაჟღენთილია, ვიდრე პირველი ნომერი იყო. ის ეხება ქართულ პრესსას და განსაკუთრებით სოციალდემოკრატების მიმართულებას ეროვნულ საკითხებზე და ურჩევს უკან დახევას, რათა „შოვინიზმისაკენ“ არ გადავიჩეხოთო.

წავიკითხეთ ასეთი წერილი „წყარო“-ში და გამგეობის წევრები ურთიერთს გავედავეთ. ბრალი თალაქვაძეს დავდეთ. ანდრია დოლიძე (ბოლშევიკი) სრულებით გაცოფდა. ამბობს:

— როცა ფილიპეს შეეხვდები, მივაფურთხებ!

თალაქვაძე კი თავს იმართლებს დროს უქონლობით. ერთი სიტყვით, ფილიპეს წერილმა გაზეთში ბაქოს ქართველთა შორისაც მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

ამ დროს ქუთაისში გამოდიოდა ჩვენი პარტიული ორ-

გაპო; თუ არ ვცდები, ნიკოლოზ (კოლია) ჭუმბურიძის რედაქტორობით (გაზეთის სახელი არ მახსოვს). ამ ორგანოში „დათიაშვილი" (ზაქარია გურული) ტყავს გვაძრობს ბაქოელებს „წყარო"-ში მოთავსებული მოწინავის გამო.

რა პასუხი გაგვეცა. თავის მართლება შეუფერებელი შეიქნა. პლატონ თალაქვაძე და მახარაძე პირადულადაც სამუდამოდ დაშორდნენ ურთი-ერთს.

დიდი ხანი არ გასულა და ნოეც ბაქოში ჩამოვიდა. ის გაენთავისუფლებინათ სასჯელისაგან. შევიტყვე რამისი ჩამოსვლა, მეც ვინახულე. გამიკვირდა, რომ ფილიპე მახარაძეც იქ არის და საუბრობენ. ცოტათი შევცბი. მაგრამ მისალმებისა და მილოცვისათანავე, მწარე ღიმილით ვეკითხები ნოეს:

— რად გვიქენით ასეთი საქმე, ნოე? ფილიპემ ისეთი საქმე დაგვმართა, რომ ყოველ ჩვენს მტერს გული გაუხარა და ჩვენც ამხანაგების სათრევად გაგვხადა. მართალიც არიან!

— რასაკვირველია, ფილიპეს არ ესიამოვნა ჩემი ყოფაქცევა. ადგა და მეორე ოთახში გავიდა. სადაც თურმე მისი ოჯახობა ბინადრობდა დროებით. დავრჩით მარტო.

— როგორ მოგვიყვანეთ! სად იყავით თქვენ! — წარბშეყრით, მეუბნება ნოე.

— თქვენმა ნდობამ! ამხანაგო ნოე! თუ არა ეს...

— რაც მოხდა, მოხდა! მთლად ნუ დაღვრით, რაც იწველეთ; მოწიფულები ხართ. სააპეკენოდ რად გახდებით. აწი უფრო ყოჩაღათ! ყველაფერი გასწორდება. ზოგი მარცხიც მასწავლებელია!-უკვე ღიმილით მეუბნება. მაგრამ ჩემი იკითხეთ, ყურებშიწუილი დამიწყო; ალბად სახეზე ცეცხლი მეკიდებოდა. სიტყვა ყელში შემრჩა

— ოჯახობა ხომ კარგათ გაყავს? — მეკითხება.

— კარგათ! ვუპასუხე და წამოვდექ. იგიც წამოდგა მთელი თავის ტანის სისრულით. ალვის ხე! ბრძნული მეტყველება. დღემდე თვალ წინ მიდგას. მამხნევებს.

ბაქონდან. 1957 წ. მარტი.

თავი მესამე

საქართველოს მთავრობა და ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაცია დიდი დაკვირვებით და სიფრთხილით თვალყურს ადევნებდნენ რუსეთში წარმოშობილ სამოქალაქო ომის მსვლელობას, ოქტომბრის გადატრიალების და ბოლშევიკების მიერ რუსეთში მმართველობის ხელში ატაცების შემდეგ. ძნელად გასაგები შეიქნა, თუ რომელი მიმართულება გაიმარჯვებდა იქ. ცხრამეასთვრამეტი წლის მიწურულში კი ჩრდილო კავკასიაშიც მოაღწია სისხლის ღვრამ და ვლადიკავკაზში ბოლშევიკებმა შეჰქმნეს თავისი მთავრობა, რომლის სათავეში მოხვდნენ ქართველები, შიდა რუსეთში შერჩენილნი თებერვლის რევოლუციის დროს: სერგო (სერიოჟა) ქავთარაძის თავმჯდომარეობით. ეს ბოლშევიკური მთავრობა ისე გამაგრდა თავისი „წითელი" არმიით, რომ შესძლო თავისი სახელით ფულიც დაებეჭდა და იქაურ ხალხებს გაცვლა-გამოცვლისათვის დაევალა. ამ რიგად ამ მთავრობის საზღვარი გეოგრაფიულად, უშუალოდ, საქართველოს მოსაზღვრე შეიქმნა და ზღვრგით კავკასიონის მთებს მოეჯინა. დენიკინის „თეთრ-გვარდიელები" კი ჩრდილო-დასავლეთიდან აწვებოდნენ. 1918 წ. ნოემბერი მიწურულშია, რომ ცნობა მოდის საქართველოში ვლადიკავკაზის ბოლშევიკური მთავრობის განკითხვის დღისა. „თეთრ-გვარდიელებმა" ის დაამარცხეს და დამარცხებულნი სიცოცხლის შესარჩენად საქართველოს მთავრობას სთხოვეს უპირობოდ მიიღოს თავის საზღვრებში.

იქნებოდა საღამოს ცხრა საათი, რომ ტელეფონით მეძახის ციორგი ცინცაძე და მთხოვს ნოე ჟორდანიას ვეახლო დაუყონებლივ, ვინაიდან მას საჩქარო დავალება აქვს შენთვისო. (გ. ცინცაძე იყო ნოეს პირადი მდივანი).

მეც უმალვე წავედი მის სამდივნოში და შევედი თუ არა, ღიმილით „პაკეტს“ მიშვერს და მეუბნება:

— რა უნდა ექნათ, ჩემო ვიქტორ! ჯერ-ჯერობით ჩვენი შინაური ამხანაგებით უნდა ვისარგებლოთ, ვინაიდან ახლები გაუცნობელი გვყავს. ეს ქალალდი რწმუნებისაა და შენ გევალება, ჩვენი სახელით, მიიღო ჩვენს საზღვარზე „ვლადიკავკაზის მთავრობა“, რომელიც ჩვენი სამარცხვინო შვილების თაოსნობით იქ არსებობდა. საჩქაროდ იქ ყაზბეგში, უნდა ახვიდე. სამხედრო სამინისტროში განკარგულება უკვე მიცემულია და შენთვის ავტომობილიც მზად არის. სამხედრო სამინისტროდან ერთი გეახლება, პოლკოვნიკი ვიქტორ ინწკირველი.

მას თვალი გავუსწორე და სიტყვის შეურუნებლად გიორგი ცინცაძეს ვთხოვე ეხლავე სამხედრო სამინისტროს ტელეფონით შეუერთდეს და თხოვოს: ერთი საათის განმავლობაში პოლკოვნიკი ინწკირველი ავტომობილით ჩემს ბინასთან გაჩნდეს.

ნოემ მშვიდობა მითხრა და მეც ფეხით შინ წავედი, ვინაიდან ბინა ახლო მქონდა, სასახლის ზემოდ, პეტრე დიდის ქუჩაზე.

ოჯახობამ ცოტა საუზმე გაამზადა სამგზავროდ და კიდევაც ლომივით ვაჟკაცი, ბიქტორ ინწკირველი კარზე მომადგა. ცოტათი შევნაყრდით და გზას გაუდექით, მცხეთისაკენ. ქალაქს რა გავცილდით, მაშინ ‘შევნიშნე, რომ შოფერი ქართველი არ იყო.. შევეკითხე ინწკირველს:

— ეს რა ერის შვილია?

— ნემეცია, მარა ნეტაი მაგისთანა ერთგული საქართველოსთვის ყველა ქართველი იყოს, მაშინ რა გვიშავს! დიდი მშრომელი და ერთგულია ჩვენი.

გავცილდით თუ არა მცხეთას, თოვლისაგან სინათლის ანარეკლი კარგ მანძილზე იძლევა საგნების გარკვევას. შოფერი ბევრჯერ ნამგზავრია ამ გზით და იმედიანად ვფიქრობ მიზნის მიღწევას. ჩაფიქრებული ვარ; ავტომობილი რაღაც დრო გამოშვებით, არა სასიამოვნოდ

ბორძიკობს და ხან ჩერდება კიდეც. შეეკითხე შოფერს, თუ რა მიზეზია. მიპასუხა:

— თოვლის ზვავი ჩამოწოლილა და გზა სულ გასწორებულია მისგან!

შევშფოთდი: — მაშ გაუვლელია?

— ვეცდები! — და მან მარჯვნისაკენ მიაბრუნა მანქანა და ტრიალის მიდამოსაკენ მიმართა.

— ეს რას ნიშნავს? ვეკითხები: ეგებ ამ მხრიდან მოუაროთ! და თუ მთელი გზა არ არის დაფარული, წინ წავალთო!

მაგრამ შენი მტერია! რა არ ატრიალა; მანქანა უფრო და უფრო იფლეთდა თოვლში. პოლკოვნიკი ინწკირველი არას ამბობს. ამან უფრო გამაბრაზა და ვეკითხები:

— როგორ ფიქრობ, ბიქტორ?

— რა უნდა ვიფიქრო! ამისთანები ბევრი შემხვედრია, ჩემო კეთილო! უნდა ვეცადოთ და დილით ეგებ რაიმე გვეშველოს!

საათს დავხედე და ათის ნახევარს გადაცილებული იყო. ვიფიქრე: დილამდე ამ თოვლიან მინდორში გაჩერება უაზრობა არის. დავიყინებით და არავითარი სარგებლობა იქნება! დავეკითხე შოფერს:

— დუშეთამდე შორს ვართ?

— ბცხეთისა და დუშეთის შუა გზაზე ვართ.

— რას იტყვი, ბიქტორ? — დავეკითხე პოლკოვნიკს.

— თქვენ რასა ბრძანებთ!

გავიფიქრე: პასუხისმგებელი მე ვარ და მე უნდა გადავწყვიტო. თუ დუშეთს ვერ მივაღწევთ ამაღამ, მაშინ ბცხეთაშიც გაჩერებაც უაზრობაა, ვინაიდან ერთი საათის განმავლობაში თვით თბილისში ვიქნებით და მაშინვე შევატყობინებ ნოეს მდგომარეობის შესახებ. ასე გავიფიქრე და შოფერს ვუთხარი უკან დაბრუნება.

მართლაც, თერთმეტს ცოტა გადაცილებული იყო, როცა ქალაქში შევედით. პოლკოვნიკს ვთხოვე დილის შვიდ საათზე მზად ყოფილიყვნენ და მე კი მაშინათვე შევე-

ცადე შეერთება ტელეფონით ნოესთან ბინაზე. მივიღე —პასუხად, ნოე თავის კაბინეტში არის სამეშაოდ მისკაბინეტს შევუერთდი და ვთხოვე მიღება. იგი დამთანხმდა და ვიახელი. შესვლისას მშვიდობა ვუთხარი. მან მხოლოდ თავი აიღო. უპასუხოდ დამტოვა. აქ კი ვიგრძენი, რომ იგი ძლიერ უკმაყოფილოა. მინდა გამობრუნდე უსიტყვოდ, მაგრამ ვერ დავიძარი. ბოლოს დაარღვია სიჩუმე და მეც მომეშვა. მეკითხება:

— რაზე შეწუხდი, ვიქტორ, ასე გვიან ღამისა?

მე მოვახსენე მგზავროპის შეუძლებლობის შესახებ. თანვე დავუმატე, რომ დილით ადრე გზას გავუდგები და შუადღემდე ყაზბეგში ვიქნები-მეთქი. ცოტა სიჩუმე და...

—ჩვენ რომ ბოლშევიკები ვიყოთ, უკან დახევა არ შეგვეძლებოდა...

გულში გამკრა! მოკლედ თავის დაკვრა და მაქვასავებ მისი სამდივნოდან გავვარდი. მაშინვე სამინისტროს ტელეფონით შეეუერთდი და ვითხოვე პოლკოვნიკ ინწკირველთან შეერთების მისამართი. საბედოთ, თვით პოლკოვნიკი სამინისტროში აღმოჩნდა და მას ვთხოვე. რაიმენაირად ის შოფერი გამოუნახა და არა უგვიანეს საათნახევრისა გზას გავდგომოდით ყაზბეგისაკენ. პოლკოვნიკმა უსიტყვოდ შემისრულა თხოვნა და ღამის პირველ საათზე უკვე თბილისიდან გავედით. თანამგზავრებს გამიჯნული ვარ სიჩუმით. არც პოლკოვნიკი მეკითხება რაიმეს. გადაწყვეტილი მაქვს, რომ თუ მანქანა ვერ იელის, ფეხით მივიდე იმ ადგილას, საიდანაც დავიხიეთ. შოფერმა სიძნელე დაინახა და მანქანიდან გავიდა. მეც მას მივსდიე და უსიტყვოდ ვათვალიერებთ მიდამოს. თითქოს, ჩემს გადაწყვეტილებას გრძნობდეს, რამოდენიმე მეტრი ეხლა მარცხნით განვლო. მოტიბრუნდა და მტკიცედ მეუბნება:

— მარცხნით წავიდეთ, ზვავს გვერდს ავუვლით და შესაძლებელია დუშეთს მალე მივალთ. შესრულდა მისი სიტყვა და დილის ოთხის ნახევარზე დუშეთში შევედით.

ეხლა შუბლი გამეხსნა. იქ სამხედრო „შტაბი“ იყო და

იქაური სინათლეც მშვიდობას გვეუბნებოდა. პოლკოვნიკი შეგვიძღვა „შტაბ"-ში, სადაც ნაცნობი ოფიცრები აღმოჩნდნენ

— ოო! ვიქტორ! რად შეგიწუხებია თავი ამ დროს? ასეთებს ჩვენ ვართ მიჩვეული, როგორც სამხედრო პირები — მეუბნება პოლკოვნიკი კოტე კიკვიძე.

— მოვალეობა, ბატონო პოლკოვნიკო! — ვეუბნები.

— ალბათ ვლადიკავკავის მთავრობის შესახებ შეწუხდით!

— დიაღ! ბატონო პოლკოვნიკო!

—ვლადიკავკაზის მთავრობის წევრები უკვე მიუღია ყაზბეგის კომენდატს, პოლკოვნიკ სიმონ წერეთელს.

— როდის? — ვეკითხები.

— წუხელის, ცხრა საათზე.

დამასხა ოფლი. მივუბრუნდი ინწკირველს და ვეუბნები: ნახევარ საათში წავიდეთ-მეთქი. შოფერს კარგად გაუმასპინძლდით და გზას გაუდექით. როგორც კი მანქანაში შევედი, მაშინვე თითქოს ნოე მეუბნება:

— ჩვენ რომ ბოლშევიკები ვიყოთ, უკან დახევა არ შეგვეძლებოდა! — სწრაფ ფიქრთა შეტაკებით ვუპასუხე: — მაინც ვერ მივუსწრებდი. ბოლშევიკებიც ხომ იხევენ შიშით უკან და მტერს სთხოვენ მოწყალებას და შველას! ფიქრითვე ვუპასუხე თავს: ეს შენ არ გამართლებს, ჩემო ვიქტორ! — მეუბნება ნოე. ამ ფიქრში რომ ვარ, მანქანა მოჭრით გადაქანდა მარცხნით და მარჯვნიდან დამეძგერა მთელი სიმძიმით პოლკოვნიკი ინწკირველი (110 კილო!). ამ შემთხვევამ გამომაფხიზლა და შუშაში გავიხედე. ვნახე ის, რაც არ მენახა. მანქანა მიდის თითქოს თოვლის ხვრელში. მივწვდი შოფერს და ვეკითხები: ეს რა ამბავია-მეთქი? მიპასუხა:

— ღამით თოვლის საწმენდ მანქანას ჩამოუვლია, თოვლი გაუჭრია, თორემ ჩვენ ვერ ვივლიდით.

ჩამაფიქრა. მე ქართველმა თავის სამშობლოს, საქართველოს ბუნება რატომ ასე ცოტათი ვიცი! თავი შემებ-

რალა. სამშობლოს არ მცოდნე გამოუდექი. ჯკან დახევაც უცოდნობით მომიხდა. მზე კი სხივოსნობით ძლიერდება. არეს უფრო დავუკვირდი. უკვე მთებში შეჭრილი ვართ. მათ ქოჩრებზე მწვანედ აშლილი ნაძვთა ბულულებია და თოვლით დაფარული ძირები თბილად შენახული აქვთ ალბათ. როცა მზე თავის უხვ სხივთა სითბოთი თოვლის სუსხს დაალხობს და წარმავალ მდინარედ აქცევს, მაშინ ისინიც თავისუფლად მძლავრად დაიზრდებიან, მომავალ ზამთარს უფრო მძლენი შეხვდებიან და უშიშრად შეეგებებიან. ასე ვფიქრობდი, რომ გზად აგვიჩნდნენ რამოდენიმე ჯგუფი რუსის სოლდათებისა, უქამროდ, შინელებში. შევეკითხე:

— ვინ ხართ? საით მიდიხართ? — მიპასუხეს:

— მცხეთაში უნდა ჩავიდეთ და დანარჩენებს უნდა დაეუცადოთ.

— სად არის თქვენი უფროსი?

— უკან მოდის...

— აბა, რაც შეგვიძლია ვიჩქაროთ —ვეუბნები შოფერს.

— რა თქმა უნდა! — მიპასუხა, შევატყვე, წყენით, — მალე ფასანაურში ვიქნებით.

მართლაც. ნახევარი საათის განმავლობაში ისეთ სიმაღლეზე ავედით, რომელზედაც მზე, სამხრეთიდან, მთელი თავისი სისრულით სხივებს აფრქვევს მას და მარჯვნით მთები და ველი გასწორებულად მოსჩანს. ცოტა წინ და ადამიანთა ჯგუფი გამოჩნდა. დავუახლოვდით. მანქანა შევაჩერებინე და ჯგუფში ნაცნობი პირები არიან. რომელთაც რუსის მხედრობა გარს ახვევია. ჩვეს მიახლოებაზე ერთობ ჩვენსკენ მოტრიალდნენ. გამოვედი მანქანიდან და პირდაპირ სერგო (სერიოჟა) ქავთარაძე შემხვდა. სანამ მას სალამს მივცემდი, წინ წამომიდგა მკვირცხლად ახალგაზრდა ქართველი ოფიცერი და მეუბნება:

— ესენი ვლადიკავკაზის მთავრობის წევრები არიან და ყაზბეგის კომენდანტმა, პოლკოვნიკმა სიმონ წერეთელმა საზღვარზე მიღებისათანავე ჩამაბა და მიბრძანა თბილისს

ჩავიყვანო და ჩვენს მთავრობას ჩავაბარო. თქვენ გელოდებოდათ, მაგრამ დრო არ ჰქონდა ცდის. ეხლა რას გვიბრძანებთ?

— დიაღ რომ დამგვიანებია, ჩემო კარგო! მეტი რა გზაა! ბრძანება კომენდანტის უნდა შეასრულოთ!

მერმე ქავთარაძეს მიემართე:

— რამდენი ხართ მთავრობის წევრები? — და ჩემს წინ წარმომიდგნენ: კოტე ცინცაძე, ლადო დუმბაძე, ვანო ბოლქვაძე და ერთი კიდევ ქართველი, ძე-ზე თავდებოდა მისი ცვარი, დღეს არ მახსოვს. სულ ხუთი ქართველი, — ვლადიკავკაზის მთავრობის წევრი.

— სხვა ერის შვილი არავინ არის თქვენი მთავრობის წევრი? — ვეკითხები სერგო ქვათარაძეს.

— არ არის. — მოკლედ მიპასუხა, ღიმილით.

— ბევრი გამოგყვათ რუსის სალდათები?

— არ ვიცი, მაგრამ ქონება ბევრი ჩაგაბარეთ. — მიპასუხა ღიმილით.

— რა სარგებლობა გვექნება თქვენი ქონებიდან, როცა თქვენი ცდა იყო დაპყრობისა და დაქცევისა? ამ სალდათებით გინდათ ჩვენში სოციალიზმის შემოტანა? სამწუხაროა!

— ეხლა ნუ დაგვცინით, ვიქტორ!

— სრულიადაც არა! სერიოზა! ჩვენ ვიცნობთ ურთიერთს და ამიტომაც ასე გეუბნები. ეს ღვთის წყრომაა და სხვა არაფერი! — ვუთხარი მას და მივუბრუნდი ჩვენს ოფიცერს და გზა „მშვიდობისა" ვუსურვე. მხოლოდ შევეკითხე გვარი და სახელი. მიპასუხა:

—თოხაძე, ბატონო!

გავშორდით ურთიერთს ჩვენ და ვლადიკავკაზის „მთავრობა". მივაღწიეთ „კრესტნი პერევალს" და ჰოი საშინელებავ! პოლკოვნიკი ინწკირველი მომაკვდავი მომებჯინა გვერდზე. შევშფოთდი. „ბიქტორ!", ვეძახი. პასუხს არ მაძლევს. რა უბედურება მემართება, გავიფიქრე. წუხელის უკან დახევა! ეხლა კაცი მიკვდება გვერდზე! ეს

წამის გაფიქრება იყო, რომ მომაგონდა: დიდი სიმაღლე როგორ მოქმედებს გულის სისუსტის მქონეზე. მივმართე შოფერს აეჩქარებინა და ისიც დაეშვა ყაზბეგისაკენ. რამოდენიმე წამიც და ჩემი ბიქტორიც ღრმად ამოიხვნეშს. მეც მომეშვა გულზე.

— რა მოგვიდა, ბიქტორ?

— მაცალე!

რამოდენიმე წუთით დავჩუმდი და ბიკტორის სულის თქმას ყურს ვუგდებ. სულის თქმის სიხშირე დაეტყო. მეც ღელვამ მიკლო და ბიქტორიც მეუბნება:

— ეს ოხერი გულის სისუსტე!.. ვინ იცის, რა დროს წამშლის ამ წუთი სოფლიდან?!

— ნუ გეშინია, ჩემო ბიქტორ! ასე რომ მცოდნოდა „კაპლს“ წამოვიღებდი, შე კაი კაცო! რომ გითხრა მართალი, წუხელის შენზე უარესი შემთხვევა მქონდა. ჩემო ბიკტორ!

— რისა და რისგან, — მეკითხება.

— შენთვის ჯერ არ მითქვამს, თუ რა მიზეზი იყო იმისა რომ ისე ჩქარა გამოგიწვიე სამგზავროდ წუხელის. თბილისში რომ დავრბუნდით, მაშინვე ნოეს ვეახელ და მოვახსენე მიზეზი დაბრუნებისა. ნოემ კი ასე მითხრა: „ჩვენ რომ ბოლშევიკები ვიყოთ, უკან დახევა არ შეგვეძლებოდა“-ო.

— ხაა-ხა-ხااا! — უცბად გადიხარხარა პოლკოვნიკმა და მეკითხება:

— და მერე შენ რა უპასუხე? ვიკტორ?

— რას ვუპასუხებდი! ოფლმა დამასხა და სწრაფად გამოვედი მისი სამდივნოდან და აი, კიდევაც გამოვემგზავრეთ. ვეჰამე სიცხვილი!

— მაინც ვერ მიუსწრებდი, ჩემო ვიკტორ! ხომ ხედავ, რომ გზაში შეგვხვდენ ყაჩაღები!

— ეს უბრალო თავის მართლებაა დავალების შეუსრულობლობაზე. ჩემო ბიქტორ! ეს შენ ჩემზე კარგად იცი, როგორც სამხედრო პირმა.

— სამხედრო პირნი სხვა დისციპლინით იზრდებიან და თქვენ განა გაუზომლად იმოქმედებთ!

— არა, ჩემო ბიქტორ! რეოლუციონერიც ვალდებულია, რა რომ მიიღებს დავალებას, შეუყოყმანებლად შეასრულოს.

— საშინელი ხალხი ხართ რევოლუციონერები! უნდა ვთქვა. სამხედრო შტაბი ხომ არ არის მთავრობა, რომ „ბუნებას" შეაკვდე! მართალია, ნოეს თქმა ყოველი ბრძანების უძლიერესია, მაგრამ იგიც მიიღებს სახეში მიზეზს!

ასეთ, ჩემი დამშვიდების საუბარშია პოლკოვნიკი ინწკირველი, რომ მყინვარის თეთრი ქუდი ხანს წამს წინ წარმოგვიდგება და წამს მიგვემალება. სულ ქვე და ქვე მივექანებით, რომ თვალის წინ გადაგვეშალა საუცხოვო სანახაობა. როგორც სინემაში, აფრიკის ცხოვრებიდან მენახა, ისე ახლაც მიიკლაკნება განუზომელი წითელი გველი.

— ეს რა არის? — ვეკითხები შოფერს.

— რკინის წყაროა. მალე მივალთ იქ.

— სრულებითაც არ მცოდნია სამშობლოს ბუნება, პოლკოვნიკო!

— მეც ასე ვარ, ჩემო ვიკტორ! პოლონეთი უფრო კარგად ვიცი, ვიდრე ჩემი სამშობლო, საქართველო! სურვილი კი მაქვს, რომ მოვიარო. მარტო გურიის ცოდნა რა საყოფია!

— განა პოლონეთი კარგად იცი?

— ვალდებული ვიყავი მცონოდა, როგორც სამხედრო პირს. ამას ვავალებდა რუსეთის სტრატეგია. — მიპასუხა.

უკვე რკინის წყაროს გავცილდით და მყინვარი ძირიდან თავამდე, თავისი სისრულით, წინ გვიდგას; თითქოს ორი ნაბიჯის მანძილით ვართ მასზე დაშორებული. ის ზღვას ზემოდ შესეულია ზეზის სხივებით და მისი ქუდი ციმციმა ვარსკვლავივით ათამაშებული სხივთაგან. ამ ლამაზ გამტაც სანახაობამ სულ დამავიწყა გუშინდელი „შერცხვენა" და ბოლშევიკებთან დამოკიდებულება. კიდევ ცო-

ტა და... მის ძირიდან. 2 კილომეტრის მანძილით, აღმოსავლეთით, აღმართულია მთა, რომელიც ჯერ კიდევ იჭერს მზის სხივებს, რომ თავისი ისრები ჰკრას ამაყ მყინვარის საყრდნობს. სურათი წარმოგვიდგენს სანახაობას, თითქოს ვიღაცას დაუხაზავს წრე და შემდეგ კი გეგმით დაუტრიალებია უძლეველი ძალით ბორბალი და ამოჭერია სიღრმე ქვაბისა. თითქოს მთათა მწვერვალები ცდილობენ აიწვართონ და გაუსწორდენ მყინვარს, მაგრამ იგი მედიდურად გადმოყურებს მათ და თან და თან ზევით და ზევით იწევა, რომ მზის სხივები მის ძირში მყოფ არსებათაც იგემონ და ისიამოვნონ. ასე მოგეჩვენება!

ჩათავდა მაღლობის გზა და თითქოს შალაშინით გასწორებული სისწორე გზისა გვიახლოვებს ამაყ ყაზბეგის ფუძეს მარცხნით; მარჯვნით კი, მის წინ მდგომი მცირე, მაგრამ სხვებთან კი ბუმბერაზი მთა, რომლის ძირში მიფარული, კობტად საძირკველს დაყრდნობილი, ორ სართულიანი სასახლე, პირდაპირ მყინვარის შემყურე, აღმოგვიჩნდა.

— აი! ეს სასახლეც! ძველი „თეთრი" გენერალის, ყაზბეგის, მხცოვან მწერლის, ალექსანდრე ყაზბეგის მამისა!

—მეუბნება პოლკოვნიკი ინწკირველი. ცოტა ხანიც და ჩვენი მანქანაც სასახლის წინ გაჩერდა. მანქანიდან გადმოსვლისას დავინახე, კარის წინ რამოდენიმე ჯარისკაცი და რა დაგვინახეს, ერთი მათგანი მკვირცხლად მოგვეგება. მე მას ვთხოვე ბატონ კომენდანტისათვის შეეტყობინებინა, რომ მასთან საქმე გვაქვს-მეთქი.

— უკვე შეტყობილი აქვს, ბატონო! გელოდებათ ყოველ წუთში. — მიპასუხა.

ჯარისკაცის სიტყვის გათავებისათანავე კარში გამოჩნდა ახოვანი ვაჟკაცი, იმერულ ჩოხა-ახალუხში, სხარტად ჩაცმული; მახვილი, მომღიმარე შავი თვალებით, რაინდულად გამომყურე; ხმალ-სატევარით შესხმული; პოლკოვნიკის ნიშანით, ქართველი ოფიცერი.

— მობრძანდით, თქვენი ჭირიმე! გელოდებით! პოლ-კოვნიკი სიმონ წერეთელი. თქვენ გიცნობთ, თუმცა პი-რადად არ შეგხვედრივართ! ჩვენი მთავრობის ბრძანება შესრულებულია.

— გმადლობთ, ბატონო პოლკოვნიკო!

— თქვენი საძებარი უკვე თბილისისაკენ გავამგზავრე!

— დიალ, ბატონო პოლკოვნიკო! გზაში შემხვდნენ.

—მათი გაჩერება აქ უხერხული იყო და ამიტომ ავაჩ-ქარე მათი გაგზავნა.

— ალბათ სიმართლე გაქვთ. — ვუპასუხე.

—ეხლა მობრძანდით, დაისვენეთ და შემდეგსაც მოგა-ხსენებთ. — სთქვა პოლკოვნიკ სიმონ წერეთელმა და სასახლეში შეგვიძღვა. შესვლისას წინ დაგვიდგა ნამდ-ვილი ბუმბერაზი, ულვაშებაგრეხილი, „ყარამანიანი"-ვით ვაჟკაცი, პოლკოვნიკის ნიშანით, ქართველი ოფიცერი და თავაზიანად მოგვესალმა:

— დავით სრესელი, ბატონო! — ამბობს იგი.

პასუხის მიცემის მაგივრად, მის ათვალიერებას, ფეხე-ბიდან თავამდე, შევუდექი. სწორედ სამი ადლია, შევა-მოწმე სიმაღლე. შემდეგ ხელი გავუწოდე და ვეუბნები:

— ძველებური რაინდობა შეგშვენდებოდათ, ბატონო პოლკოვნიკო! — ჩემი მარჯვენა ხელი კი თითქოს ორმო-ში ჩაყოფილად ვიგრძენი. სრესელი იღიმის და მეუბნება:

— მე კი მღვდლად ვემზადებოდი, რომ ეს ვერანა სოსო „სტალინი" არ გაჩენილიყო სემინარიაში. იმის პროვოკა-ციამ ყველანი სემინარიის გარეთ დაგვტოვა და მეც სამ-ხედრო სკოლაში შევედი და მას შემდეგ სამხედრო სამ-სახურში ვიმყოფები.

— მეტად საინტერესოა თქვენი ისტორია, ბატონო პოლკოვნიკო!

— ეხლა ცოტა ისაუზმეთ და შემდეგ ამ „ტეტიას" ამ-ბავსაც შეიტყობთ, — მხიარულად გვეუბნება პოლკოვ-ნიკი სიმონ წერეთელი. სუფრა გაშლილი იყო და ჩვენც

საუზმეს შეეუდექით. ცოტა შენაყრდენის შემდეგ პოლ კოვნიკი წერეთელი მუბნება:

— როგორც ბრძანეთ, თქვენ გზაში შეგხვდათ ვლადიკავკაზის მთავრობის შემადგენლობა. მაგრამ არ იცით, თუ რა ქონება ჩამოგვიტანა და ღირსებისანი. რასაკვირველია, „მსგავსი მსგავსა შობს“... ქართველი ერის ღირსმა შვილებმა, რვა დიდი ტომარა ქალალდის „ბონები“, ოთხი ფურგონი და რამოდენიმე გამხდარი ცხენი შემოგვძინეს. ყველაფერს ნახავთ და განკარგულებას გასცემთ. ყველაფერი ვუამბე ბატონ ნოეს ტელეფონით დღეს დილით.

ნოეს ხსენებამ გამწურა წელში. მისთვის ყველაფერი მოუხსენებიათ და მე რისი მაქნისი აღმოჩნდი, — გავიფიქრე.

— ძლიერ კარგი, ბატონო პოლკოვნიკო! შეიძლება ეხლავე დავათვალიეროთ ისინი?

— როგორც ისურვებთ.

კარგი იქნება! — ვთქვი და წამოვდექი. ყველანი წამოდგნენ და პოლკოვნიკმა შეგვიყვანა სალაროში, სადაც ტომრები იყო დაწყობილი, ვლადიკავკაზის მთავრობის „ბონებით“ დატენილი. თითოეულ ტომარაზე აღნიშნული იყო, თუ რამდენი „რუბლეი“ არის შიგ. ეხლა არ მახსოვს სწორედ, მაგრამ საერთო ჯამს კი შეადგენდა ოცდა ხუთმეტ მილიონამდე. ტომრები ლუქით იყო დაბეჭდილი. ცალ-ცალეულად გარეთ და მინდვრად დავინახე რამოდენიმე ცხენი, საკოდავად გამხდარი; დაეძებდნენ გაყინულ მიწაზე საძოვარს. პოლკოვნიკი მეუბნება, რომ თივა ან სხვა რამე აქ არ მოიპოვება და თუ მალე არ წაიყვანეთ, ყველა დაიხოცება შიმშილითო. ძლიერ შემაწუხა მდგომარეობამ. მყინვარს გავხედე და მისი ძირის სიმრგვალემ ყურადღება მიიპყრო. კიდევ დავაკვირდი და მარჯვნით, სხივთაგან განათებული, პატარა სოფელი აღმოჩნდა..

— რა ჰქვია იმ სოფელს, ნეტაი!

— გველეთი!, — მიპასუხა პოლკოვნიკმა.

— რატომ „გველეთი“?

— იქ მართლაც გველებია, ვინაიდან ციცი ქარი იქ არ ხვდება და კარგი სითბოც არის!

ნელი ნაბიჯით წინ წავველეთ და გადავადექით ღრმა ნაპირს.

— ეს დარიალია!

— დარიალი?! საუცხოოა! საშინელის სისწრაფით მირბის და ხმას კი არ იძლევა. ელიპსიური სიმრგვალით მყინვარის ძირს უვლის და მიიმართება ჩრდილოეთით, მაღალი მთების კლდეებისაკენ. ალბათ მთებსა სჭრის, საელელ გზას იკაფავს!

— მართალი ხართ. თუ დრო გექნებათ, მის გაბრძოლილ გზასაც ნახავთ!

— გმადლობთ, ბატონო პოლკოვნიკო! ჩემთვის სულ ახალი სანახაობაა და საინტერესოც. ქართველმა უნდა იცოდეს თავისი სამშობლოს საზღვრები და მათი ბუნებრივი ხასიათიც.

— დღეს ხომ ყველა გვედავება და ვიწრო ფარგლებში უნდა მოვთავსდეთ! თუ აქარის საკითხი მოაგვარა ჩვენმა ბრძენმა ნოემ, მაშინ დანარჩენთ უფრო ადვილად გავუსწორდებით. — ამბობს წერეთელი

— ეხლა კი გატყობთ, ძლიერ დაღლილი ხართ და დავბრუნდეთ სახლში.— მეუბნება პოლკოვნიკი წერეთელი. მეც აღარ გავჯიუტდი. სასახლეში შევედით თუ არა, მოისმა პიანოს ხმა და ზედ დამღერის მშვენიერი ბარიტონით.

— ვინ არის ეს კარგი მომღერალი, ბატონო პოლკოვნიკო?!

— ახალგაზრდა ოფიცერი! ნამდვილი პატრიოტი! გვარად დიდებულიძე! გაიცნობთ. კარგი მომავალი აქვს! კარგი ქართულის მცოდნეა! — მიპასუხა პოლკოვნიკმა სიმონ წერეთელმა.

— სასიამოვნოა, ბატონო პოლკოვნიკო! სამწუხაროდ, ახალგაზრდა ოფიცრებმა ან სულ არ იციან ქართული, ან ძლიერ მახინჯად.

— ეს ალბათ განიცადეთ „რევიზიის“ დროს — მეუბნება პოლკოვნიკი.

— დიალ, ბატონო პოლკოვნიკო!

— შიში არ არის! ყველა შეისწავლის დედა ენას. მხოლოდ დრო უნდა და მთავრობაც ეუწყობს ხელს — მეუბნება პოლკოვნიკი წერეთელი.

ასეთი საუბარით შევდგით ფეხი სასახლის დარბაზში თუ არა, იმერულის თავაზიანობით შემოგვეგება მშვენიერი ახალგაზრდა ოფიცერი; შავ-ულვაშ-აყრილი, მაღალი შუბლით. თვალებ მხიარული გამომეტყველებით. ორი ნაბიჯი და ამბობს:

— დიდებულიძე გახლავარ, ბატონო!

— რამდენი წელი გაგივლიათ? — ვეკითხები.

— ოცდაექვსი. — მოკლედ მიპასუხა.

— მაშ დრო გაქვთ კიდევ უფრო დაამშვენოთ თქვენი სასიამოვნო ხმა! ჩვენ ხომ ეს დიდად გვესაჭიროება?!

— დიდად გმადლობთ, ბატონო! თქვენი იმედით! — მიპასუხა.

— მაშ, ჩვენი ფიქრები ერთი გზით მიდის, ახალგაზრდავ!

— სწორეთ, ბატონო! ჩვენი მთავრობაც, ბატონი ნოე ჟორდანიის თავობით, ვფიქრობ, ხელს შეუწყობს საქართველოს კულტურის აყვავებას და ჩემისათანა პატარა მარჭვალებსაც თავის სათანადო ადგილი ექნება!

— ყოჩაღ, ახალგაზრდავ! ქართული სიტყვა საქებრად შეგისწავლია! იმედით წინ! — ვეუბნები და ხელი ხელს მივეცით. სწრაფად გავიფიქრე: ყველას ნოეს იმედი აქვს და მე კი ნოეს იმედი ვერ გავამართლე! უკან დავიხიე! ამ გაფიქრებამ მათქმევინა:

— მხოლოდ უკან დახევა მიზნიდან დამარცხების მომასწავებელია, ახალგაზრდავ!

აეთ ჩვენ საუბარს ღიმილით შეჰყურებს პოლკოვნიკი სიმონ წერეთელი და სხვებიც; ამ დროს დარბაზის კარი შემოაღო ჯარისკაცმა და მოახსენა: თბილისიდან ჩამოვიდნენ გვარდიის მთავარი შტაბის წევრები და თქვენი ნახვა უნდათო. ამ მოხსენებამ დიდად გამახარა და სწრაფი ფიქრით: ცხენები, ფურგონი და სხვა სამხედრო მასალა გამახსენდა. წამს დარბაზში დინჯად შემოდგა ფეხი ანდრო ჭიაბრიშვილმა. მას სწრაფად მივესალმე და კომენდატს წარვუდგინე. პოლკოვნიკმა იკი თავაზიანად მოიკითხა და ერთობ ყველა მიგვიწვია დასასვენებლად. ჩვენც დავსხედით თუ არა, ჭიაბრიშვილი უბიდან თავის რწმუნების ქაღალდს იღებს და პოლკოვნიკს აწოდებს. მეორე ქაღალდი კი მე მომაწოდა. გავხსენი და წავიკითხე. უფრო გავმხიარულდი. მთავრობის თავმჯდომარე მწერს, რაც რომ სამხედრო მასალაა, მაქვე უნდა ჩაბარდეს გვარდიის მთავარ შტაბს, რომლის რწმუნებული არისო ანდრო ჭიაბრიშვილი. კომენდანტსაც ასეთივე ბრძანება აქვს. ცოტა ვითათბირეთ და გადავწყვიტეთ: ტომრებით ბონებს მე წავიღებ და სხვა ყველაფერი ანდროს ჩავაბაროთ.

ანდრო ჭიაბრიშვილი აჩქარებით მოითხოვს ჩაბარებას, ვინაიდან საღამოს უნდა გაემგზავროს თფილისისაკენ, იქ შტაბში მალე მივიდეს საქმეების გამო. პოლკ. კნიკი წერეთელი თანაუგრძნობს, მხოლოდ თხოვს ცოტათი დასვენებას და საუზმის მიღებას. ჭიაბრიშვილი მას მადლობას უხდის, მხოლოდ თხოვს, რომ მას მიეცეს საშუალება განკარგულების მიცემისა გვარდიელებისათვის. ჩვენც დავეთანხმეთ; გარეთ გამოვედით და დავინახეთ, რომ გვარდიელები, ექვსი კაცი, უკვე შესდგომიან ცხენების მორეკას. ექვსიენი მუშები იყვნენ რკინის გზიდან. ჩვენ მივესალმეთ მათ და კომენდანტმა, წერეთელმა, ლმობიერი სიტყვებით ყველა დალოცა და თანვე სთხოვა მათ, ეხლავე საუზმეზე მოსულიყვნენ. გვარდიელები ცოტა შე-

ყოყმანდნენ, მაგრამ ანდრომ თანხმობით თავი დახარა და ისინიც წამოვიდნენ. ეხლა კი პირდაპირ სასადილოში შევედით. სუფრა გაშლილია. სუფრის თავში კომენდანტი მოთავსდა და ყველა მიგვიწვია. ცოტა ხნის შემდეგ სიმონ წერეთელი წამოდგა, ჭიქა ხელში აიღო და ამბობს:

— საქართველო აღსდგა! თავისი შესაფერი თავითაც თავი დაიმშვენა! გაუმარჯოს საქართველოს და მის თავს ნოე ჟორდანიას. დღეგრძელობა მისი!

თქმისათანავე მჩვენიერი ტენორით მრავალჟამიერი შემოსძახა. ყველანი ავყევით და მთელი დარბაზი გამხიარულდა. სასმისი ფეხზე მდგომად დავცალეთ.

ანდრო მეუბნება ჩუმად:

— მე ძლიერ მეჩქარება და თუ სადღეგრძელოები დაიწყო და ღვინის სმა, ჩვენ დავთვრებით და საქმეზე მოვცდებით. ამიტომ შენ შეეცადე, რომ არ გაგრძელდეს. თორემა შენ დაგაბრალებ, — ღიმილით დაუმატა.

სიმონ წერეთელმა ყური მოჰკრა ანდროს თქმას და ღიმილით ამბობს:

— ჩემს დანაშაულს მე თვით ვზღავ, ბატონო ჭიაბრიშვილო! ჩვენც თანაგიგრძნობთ საქმეზე და ნუ წეიწუხებთ თავს! ეს უკანასკნელი სურვილია დღეს რომ ვთქვათ — გაუმარჯოს ქართულ მუშათა გვარდიას! ის ამის ღირსია! — სთქვა და სასმისი დაცალა. ჩვენც მას მივყევით და ყველამ დაცალა. მერმე თვით პოლკოვნიკი აცხადებს მხიარულად:

— გმადლობთ სტუმრობისათვის! საქმეს შევუდგეთ!

ყველანი წამოვიშალეთ და სიცილით გარეთ გამოვედით.

გვარდიელები სწრაფად შეუდგნენ სამხედრო მასალების შეწყობას მანქანებზე. ცხენები, რომლებსაც კიდევ შეეძლოთ მოძრაობა და ტვირთის ზიდვა, ფურგონებში შეაბეს, ხოლო დასუსტებულნი კი ურთიერთს შეუბეს სამსამი ცალი, რომ ადვილად გზად გაერეკათ. ისე ჩქარა მოქმედებდნენ გვარდიელები, რომ ორი საათის განმავლო-

ბაში მზად იყვნენ გზას დადგომოდნენ. ამ დროს სამი ჯარისკაცი კალათებით მიუახლოვდა მათ; პოლკოვნიკმა სამგზავროდ ათი ბოთლი ღვინო და სხვა და სხვა ხორცეულის კონსერვები მიართვა და გზაც დაულოცა. გვარდიელები გაუდგნენ გზას თუ არა, შეგროვილ ხალხში ხმა მაღალი ლაპარაკი მომესმა; მათ შორის იყო პოლკოვნიკი ინწკირველი და მისი ხმა ვიცანი. ყურადღების მიქცევისთანავე მისკენ გავექანე და შევეკითხე:

— რა მიზეზია? რაზე დავობ?

— დასავლეთის ფრონტზე რო ვიყავი, მე მყავდა საკუთარი ცხენი. ეს ცხენი აღმოჩნდა აქ და მიუთვისებია ამ მოხევეს. — თქვა და ხელი დაადო ადგილობრივი ერობის თავმჯდომარეს, სხარტად ჩოხა-ახალუხში გამოწყობილს, ქამარ-ხანჯლით. მოხევე კი ამბობს:

— ცხენი ვიყიდე, ვინემ ბოლშევიკების მთავრობა გამოიქცეოდა ვლადიკავკაზიდან და მაკვირვებს ბატონი პოლკოვნიკის „ხუმრობა“! მას ალბათ მოეწონა და უნდა წამართვას! ჩემთვის კი ეს ხუმრობა არ არის!

ინწკირველს თვალებში ჩავაკვირდი და ვკითხე:

— რითი დაამტკიცებ, რომ ცხენი შენი იყო?

— მე მყავს მიჩვეული; როცა ყურზე ხელს მოვკიდებდი, ის დაიჩოქებდა!

მოხევემ ფიცხლავ წამოიძახა:

— ბატონმა პოლკოვნიკმა მართლაც ჩაავლო ხელი ყურში და ცხენმაც დაიჩოქა; აბა, რას გაუძლებდა ასეთი ლომკაცის ძალ-ღონეს, ბატონებო!

ამ განცხადებამ საერთო სიცილი გამოიწვია. პოლკოვნიკსაც გაეღიმა. ჯერი ჩემს გადაწყვეტილებაზე მიდგა. იმ დროს მოხევეთ გაჯავრება ცუდი იყო, ვინაიდან განაპირა კუთხეების განწყობილება ჯერ კიდევ დიდ სიფრთხილეს მოითხოვდა და ასეთი მცირე რამისათვის მეთაურის გაჯავრება არა სასიამოვნო შეიქნებოდა. შემეძლო ცხენი მთავრობის ქონებად გამომეცხადებინა და კომენდანტისათვის გადამეცა. ცოტა გაფიქრების შემდეგ პოლ-

კოვნიკი გავიხმე და მოკლედ ჩემი აზრი ვუთხარი. მან კი მიპასუხა:

— როგორც შენ მოისაზრებ, ვიკტორ! შემდეგ მოხევეს ვეუბნები:

— ცხენი შენ გრჩება. მხოლოდ თუ საჭიროდ ლარჩება მთავრობისათვის, მაშინვე უნდა ჩააბარო.

მოხევე ჩემთან მოიჭრა და მეუბნება:

— ცხენი კი არა, ჩემი თავიც ნოე ჟორდანიას მთავრობისათვის ჩამიბარებია, რასაკვირველია, ბატონო!

პოლკოვნიკმა ინწკირველმა და მოხევემ ხელი ხელს მისცეს და მბიარულად ური ეჯთს დაშორდნენ. ჩვენც სასახლეში დავბრუნდით და კომენდანტი სიმონ წერეთელი მეუბნება:

— გმადლობთ, ვიქტორ! ასე წყნარად გაათავე ეს დავა და პოლკოვნიკი ინწკირველი და მოხევე შეარიგე. თორემ აქ მოსვენება არ გვექნებოდა მოხევეთაგან. საყვედურით აგვავსებდენ, ვითომც იმერელი იმერელს მიუდგაო...

— განა ასე ამბობენ?! — ვეკითხები.

— გამოჩნდებიან ზოგნი, თუმცა ნაკლებად, რომ ასეთს იტყვიან „საპროვოკაციოდ"! მაგრამ გასავალი არ აქვს! შენ რომ მოხევის სასარგებლოდ არ გადაგეწყვიტა, მაშინ მიზეზი მიეცემოდათ და პროვოკაციასაც გასავალი ექნებოდა, ვინაიდან აქ ყველამ იცის, რომ „შენ მთავრობის სახელით ხარ მოსული. კარგი ქენი!

მწარე ღიმილი მომივიდა და ვამბობ:

— სამწუხაროა ასეთი კუთხური მოვლენა, ბატონო პოლკოვნიკო!

— რა უნ და ვქნათ! ჯერჯერობით საჭიროა სიფრთხილე, რომ საქართველო შედუღდეს და ერთი სხეული შეიქნეს. განა სახუმარო ამდენი დროების დაქსაქსვა და ურთიერთისგან მოწყვეტა!" ეს მოხევეები თავიდან დაკავშირებული იყვნენ ჩრდილოეთთან და თბილისთან ნაკლები ურთიერთობა ჰქონდათ. დღეს ნოეს სახელი ძლიერია,

მაგრამ თუ შინაურულად კარგი განწყობილება არ განიმტკიცა, მაშინ ნოემ რა უნდა ჰქნას?

— მართალი ბრძანდებით, ბატონო პოლკოვნიკო! თვითეული ჩვენგანი ფრთხილად უნდა ვიყვეთ, რომ ძველი ჭრილობები სავსებით გაჰქრეს! — ვეუბნები და თანვე გავიფიქრე: ნოე და ნოე! რატომ არის ეს ასე?! ალბათ მისი მოსაზრებები და საქმენი თვით ქართველი ხალხის ძირს ეყრდნობა და მისგან ანარეკლია! სხვაფრივ არ აიხსნება! მე კი უკან დავიხიე! დავძაბუნდი!

ცოტა სიჩუმის შემდეგ ვეუბნები კომენდანტს:

— ხვალ დილით გზას უნდა გავუდგეთ, ბატონო პოლკოვნიკო!

— სურვილისამებრ! ჩვენ მზად ვართ. ერთ საბარგო ავტომობილზე ბონებით ტომრები დაეტევა და გათავდა. დუშეთამდე პოლკოვნიკი სრესელი მიგყვებათ და მის შემდეგ თქვენი სურვილისამებრ მოიქცევით.

— ვითომც დამცველი გვესაჭიროება, ბატონო პოლკოვნიკო?

— ვინ იცის, ბატონო ვიკტორ! ფულები მიგაქვთ! ყველასგან გაგონილია და ხო იცით, ეს უბედური ფული ყველას იტაცებს და მისი მოტაცების მსურველნი ჩნდებიან, მით უმეტეს ამ მთაში ხომ ვაჟკაცობად ჩაითვლება მისი მოტაცება!

— მინდოდა კი ჩვენს საზღვრამდე ჩავსულიყავ; რა მანძილია აქედან, ბატონო პოლკოვნიკო?

— სულ ხუთი ვერსია. თუ ისურვებთ, სადილის შემდეგ წავიდეთ და ყველაფერს ნახავთ.

— მადლობელი ვიქნები.

საჩქაროდ ვისადილეთ და ჩრდილოეთის საზღვრისაკენ გზას გავუდექით. დარიალის პირველი ხიდი განვლეთ და სოფელ გველეთის ძირს გავიარეთ. თან და თან მთების თავები ურთი-ერთს უახლოვდებიან და თითქოს, აი-აი, შეიკვრებიან, რომ წინ აღმოგვიჩნდა დარიალის კალთების შორის პატარა კუნძული. მარცხნით გოლიათი მთის

სიმაღლიდან დიდი ჭრილობა წითელ-ყვითლად მოსჭვივის მზის სხივებიდან. ვეკითხები პოლკოვნიკს:

— განა კიდევ ხდება ზვავი და მეწყერი ამ მთებიდან?

— ხშირად. მხოლოდ დარიალი ნახევარი საათის განმავლობაში გაწმენდს, რა დიდი შვავიც არ ჩამოინგრეს! და განაგრძო: — მართლაც რომ დიდი ბრძოლების მწარმოებელია მყინვარის ვატყორცნილი მდინარის ძალა. ვინ იცის რამდენი სიცოცხლის მანძილით ბრძოლავს, რომ სიცოცხლის მსვლელობის გზა არ დაეხშოს! ამისთვის მუდმივ შრომობს და მომხდურს ამარცხებს, რომ მთის ხალხებს მუდმივი კავშირი ჰქონდეთ და ძმური მეზობლობა. ეს, ინგუშები, ხომ ძმური გრძნობებით გაჟღენთილი არიან საქართველოსადმი; ბალკარებიც კარგად არიან ჩვენთან; ოსებიც ასეთებად უნდა ჩაითვალოს, გამონაკლისის გარდა.

პოლკოვნიკი სიმონ წერეთელი რომ ასეთ საუბარს აგრძელებს ჩემთან, მე თავში მიტრიალებს ლერმონტოვის „დემონი"-ს თამარ, ვინაიდან პატარა კუნძულს, დარიალის შტოებს შორის, რომელსაც მთასდევები თავს დაჰყურებენ, შეეძლო პოეტის გრძნობების მართლაც იმ რიგად ამღერება, როგორც მან აამღერა „ფანტასტიურად" და მისი გამკილავნი უფრო სათუოთად უნდა მოპყრობოდნენ, ვინაიდან დიდი თამარის პირადობასთან, მის ამღერებას, არავითარი კავშირი არ ჰქონებია, მხოლოდ წამოდგენითი. ასე ჩაფიქრებული ვისმენდი პოლკოვნიკის საუბარს, რომ მდინარის ხმაურობა უფრო გაძლიერდა. კიდევ ცოტა და მოსაზღვრე ჯარის ბანაკს მიკაღწიეთ. ალბათ პოლკოვნიკმა ტელეფონით შეატყობინა წინ და წინ, რომ კაპიტანის ნიშნით ოფიცერი წინ დაგვიდგა მხიარულის სახით. პოლკოვნიკს მხედრული რიხით მიესალმა და მოკლე მოხსენება მისცა. შემდეგ მარდად ჩვენკენ სახე იბრუნა და ხელებ დაშვებული სალამით მეუბნება:

— კაპიტანი კობახიძე, ბატონო!

მე მას ხელი გავუწოდე და ვეუბნები: — ალბათ აქ მოწყენას ვერ იგრძნობთ, ბატონო კაპიტანო!

— ერთი მხრით. არა, მაგრამ მეორე მხრით კი, ბატონო!

— ეს ორი მხარე რას წარმოადგენს, ბატონო კაპიტანო?

— პირველი ის არის, რომ დარიალი სიცოცხლის მომგვრელია; მეორე კი ის არის, რომ ამ სიცოცხლის დამამშვენებელი და დამამშვიდებელი აქ არ მოიპოვება, ვინაიდან კაცობრიობის მთავარი, მეორე ნაწილი აქ არ ჰაჰანებს, ბატონო! — სიცილით ათავებს.

—მაგიერად ხშირად ციშვებთ შვებულებაში, შვილო! — სიცილითვე უპასუხა პოლკოვნიკმა და ყველას მხიარული განცდა მოჰგვარა. მიმოხედვის შემდეგ ჩემი ყურადღება მიიპყრო შემოღობილმა ეზომ. ამ ეზომ მომაგონა ალ. ყაზბეგის „ნამწყესარი“, სადაც იგი აღწერს მეცხვარე მოხევეთა თავგადასავალს, როცა ისინი ცხვრის ფარას მიერეკებოდნენ ძაუგის მიდამოებში საძოვარზე, ზამთრობით და იქ კი, რუსის ჯარისკაცები დარაჯობდნენ და საბაჟო გადასახადს ართმევდნენ, თითქოს სხვა სახელმწიფო საზღვარზე გადიოდნენ. შევეკითხე პოლკოვნიკ წერეთელს:

— რატომ იქცეოდა ასე რუსეთის მთავრობა? განა მიდამო რუსეთის საზღვრებში არ იყო, რომ მეცხვარე მისი ქვეშევრდომი იყო და მაინც ასე ავიწროებდა მათ?

— რასაკვირველია, აქ ბოროტი ენაზრახვებია! ამ მოქმედებით ნათელია, რომ რუსეთის მთავრობას სურდა აქაური მცხოვრები აშკარად გამოეყვანა თავის წინააღმდეგ, რათა მიზეზი ეშოვნა მათი აქედან სრულებით გადასახლებისათვის. სხვა მოსასზრება არ შეიძლება აქ მოვიტანოთ. რუსეთს ენდოდა სავსებით მოესპო ქართული ეროვნება, რისთვისაც მოსპო ქართული ადმინისტრაცია და შეუდგა სრულ რუსიფიკაციას, ქართულ თავადაზნაურობას თითქოს მისცა პრივილეგიები და სამხედრო სასწავლებლებში სახელმწიფო ხარჯზე იღებდნენ, რომ სრული გარუსება მოეხდინა. განა ის ხარჯები, რომელსაც რუსეთი იღებდა თავადაზნაურობის შვილებზე, ერთ მეასედს შეადგენდა მის შემოსავალს საქართველოდან? რასაკვირველია, არა! — დაათავა სიმონ წერეთელმა და დასძინა: — სწორედ

რომ დროზე მოგვისწრო რევოლუციამ, თორემა...

— თორემა? — ვეკითხები.

— თორემა, კიდევ ორმოცდაათი წელი და ქართველი ერი ნახევრად გარუსდებოდა და საქართველოს ტერიტორია სავსებით აკრძალებული გახდებოდა სხვა და სხვა ჯურის ხალხების ჩამომავლობით; საქართველოს წერტილი დაესმებოდა და მხოლოდ ისტორიაში მოიხსენიებდენ, რომ იყო ასეთი და ასეთი ერიო!

პოლკოვნიკის ასეთმა დასკვნამ ძლიერ შორს გამიტაცა და მომაგონა პირადი განცდები, როცა ბათუმის უბრალო სახელოსნო სასწავლებელში მოსწავლეობის დროს პანსიონში ვიმყოფებოდი, თუ ქართულად მოლაპარაკეთ მოგვასწრებდა ზედამხედველი „კარცერში“ დაგვამწყვდევდა და უსადილოდ დაგვტოვებდა ხოლმე. ამ მწარე მოგონებამ გაამართლა პოლკოვნიკის მოსაზრება საქართველოს მომავალზე, სინამდვილით შეიჭრა ჩემს შეცნობაში და დასტურით პოლკოვნიკს თვალი შევავლე; უსიტყვოდ ნაპიჯი ხიდისკენ გავდგი, რომლის მეორე დასაბჯენი, თითქოს, გამოურკვეველ მდგომარეობაშია, ჩვენ გვეკუთვნის, თუ ვინმე სხვას და შუაზე კი გავლებული აქვს რკინის ჯაჭვის საზღვარი და ვეკითხები პოლკოვნიკს:

— ვანა ჩვენი საზღვარი შუა ხიდამდეა?

— არა! ხიდის იქეთ ოთხი ვერსი ჩვენს საზღვრებში უნდა შემოვიდეს, მაგრამ რადგან იმ მხარეში ჯერ კიდევ არეულობაა და წესრიგი არ არსებობს, ამიტომ ჩვენთვის უფრო ადვილია თავდაცვა ყოველი მოულოდნელობიდან. იმ მხარედან ხშირად მოგვადგებიან შეიარაღებული ჯგუფები, მაგრამ როცა ჩვენს ჯარისკაცებს დაინახავენ, მაშინვე უკან ბრუნდებიან. აი, გაიხედეთ მარჯვნით. იქ სამი „პულემიოტია“ მიფარებული. იმ იარაღით ათასობით დაიხოცებიან მტრები და მათ კი ვერას გზით მიუდგებიან!

მართლაც, რა რომ დავაკვირდი, მდინარეს ისე გამოეხაზა თავშესაფარი ჩვენი ჯარისათვის, რომ ჰაერიდანაც ვერ მიუდგებოდა მტერი. ეს მხარე საქართველოს ბუნე-

ბას მტკიცედ დაუბეჭდია. მხოლოდ შიგნიდან შეიძლება მისი გარღვევა. ასე ვიფიქრე და შევეკითხე პოლკოვნიკს:

— გარდა ქართველი მოხევეებისა კიდევ არის ამ კუთხეში სხვა ტომის მოდგმა?

— არის, სამწუხაროდ! სხვა და სხვა სიმაღლეზე ყაზბეგიდან ჩვენსკენ მისახლებული არიან ოსები, რომლებიც ხანდისხან არა სასიამოვნო ყოფაქცევით დაძვრებიან; მაგრამ არა უშავს! მოხევეები მათ თვალყურს ადევნებენ და თუ რაიმე შეიტყვეს, კარგ დღეს არ დააყენებენ.

მესიამოვნა და თან დამაფიქრა ამ გარემოებამ, რომ პოლკოვნიკი სიმონ წერეთელი მეუბნება:

— კაპიტანი გვთხოვს ვესტუმროთ, ნუ გავაწბილებთ!

— რასაკვირველია! უდაბნოშია და ჩვენც მოვულხინოთ. — ვეუბნები.

კაპიტანი კობახიძე მოლიმარი სდგას პატარა „ყაზარმის“ წინ, თავაზიანად წეგვიძღვა და გვეუბნება:

— ბატონებო! მანდილოსნებმა თავი დაგვიკრეს და წავიდნენ! სუფრას მათი შნო აკლია, მაგრამ იმედი გვაქვს უმათოდ არ დაგვიწუნებთ! ბატონი პოლკოვნიკიც ძუნწადაა ჩვენთვის, მაგრამ არა უშავს! კონიაკებს ხშირად მოვითხოვთ და ისიც არ გვაკლებს! გთხოვთ ჩვენი სილარიბის თითო ჭიქა მიიღოთ და ეუსტრეოთ ჩვენ ნოე ჟორდანიას დღეგრძელობა და სიმტკიცე სამშობლოს განმტკიცებაში! — სთქვა მან და პატარა ხონჩაზე პატარა ჭიქები, კონიაკით სავსე და ახლად დაჭერილი თევზი, ნიორწყალში გავლებული მოგვაწოდა. სწორედ რომ მომხიებელი ვიყავით. პოლკოვნიკმა ვ. ინწკირველმა ხალისით თევზს თავში წაავლო ხელი, ზევით ასწია და სიამით ცქერა დაუწყო, რამაც ყველას ყურადღება მიიქცია. თევზის სილამაზე მართლაც განუსაზღვრელი აღმოჩნდა: აფოროჯებული ტანით ერთი მესამედი კუდიდან, ცეცხლის ალისაებრ მოელვარე! ცოტა შევჩერდით სიჩუმით. სიჩუმე დაარღვია კაპიტანმა კობახიძემ:

— ნუ გიკვირთ, ბატონებო! ჩვენი სამშობლო სილამაზით ავსებულია! მისი საიდუმლოება ბუნების მფარვე-

ლობის ქვეშ არის... რაც რისხვა არ მოევლინოს ზემოდან. ამ სილრმეში შეიღებს თავისას და მუდმივ უკვდავად აქცევს! ასჩვიდმეტი წელი თავს აწვა ემსგვსოდ ულამაზო მტერი! რა აღსდგა, ვერ ხედავთ, რა სილამაზით მოირთო თავი! მე ვნახე ნოე ჟორდანია თბილისში. განა საქართველოს ბუნება არ არის მასში?! მისი ახოვანება! მისი გამომეტყველება! შუბლი! რა ვითხრათ, ბატონებო! გაუმარჯოს ნოე ჟორდანიას. მრავალჟამიერ მის სიცოცხლეს! — დაასრულა კაპიტანმა კობახიძემ.

— ვაშა, ბიჭო! — შესძახა პოლკოვნიკმა წერეთელმა და „მრავალჟამიერ“ შემოსძახა. ჩვენც ავყევით. ჩემს სიამოვნებას საზღვარი არ ჰქონდა. თანვე წარსული დღე მომაგონდა და დამაფიქრა: „უკან დავიხიე“! საზოგადო სამადლობელი ვთქვი და კომენდანტს ვთხოვე უკან დაბრუნება. გზაში სიჩუმით ვიმგზავრეთ. თითქოს ყველანი ერთნაირმა ფიქრებმა გაგვიტაცა. ყაზბეგის სასახლეს როცა მივუახლოვდით, როიალის ხმა მოგვესმა; კაპიტანი დიდებულიძე, მძლავრი ბარიტონით, „მურმანის“ საპასუხო არიას გაეტაცებინა: „რას მიქვია, ცათა სწორო, ცოლის ქება რა რიგია!“...

ქართული ცოლქმრობის სიყვარულის მიფარება! მისი ქება ურიგობაა ბარეშეთა წინაშე! გარეშეს მასთან რა საქმე აქვს!

ეს ქართული გულის საიდუმლოება დღეს უფრო ძვირფასია ჩემს წინაშე, ვინაიდან ამ განათლებულ ევროპაში წარამარა იხარჯება უცხოთა წინაშე „მტლაშა-მტლუში“ და ჩვენს ქართველობასაც სენად მოსდებია! მაგრამ ეხლა ამას თავი დავანებოთ.

სასახლეში შესვლისათანავე დიდებულიძეს ხმა მოუწონეთ და მანაც განაგრძო. ჩემი ფიქრი კი თბილისს დაბრუნებამ შეიპყრო და ვიკტორ ინწკირველს ვეუბნები:

— ხვალ დილით, შვიდ საათზე სამგზავრად მზად უნდა ვიყოთ, ჩემო ვიქტორ!

— ეს შენი საქმეა! მე არც ცოლი მიცდის და არც შვი-

ლი! ნამდვილი პროლეტარი მე ვახლავარ! არსად არაფერს დავკარგავ, ვინაიდან არაფერი მაქვს!

ეს მან სიცილით მითხრა და სიმონ წერეთელს ეკითხება:

— მართალი ვარ, თუ არა, სიმონ!

— მეც შენს დღეში ვარ, შვილო! ალბათ ბედმა ასე გვარგუნა და ჩვენც უნდა წევუჩიგდეთ, თუ რომ ჩვენი პირადობის სატკბოება ასეთი მიმართულებისაა. მაგრამ ვინ იცის, ეგებ ჩვენც გავხდეთ პირადი სიტკბოების ღირსი! იმედით წინ! ყველაფერი დამოკიდებულია საქართველოს სიმტკიცეზე, ჩემო ვიქტორ! — დაფიქრებული ღიმილით სთქვა სიმონ წერეთელმა და მე მომიბრუნდა:

— შენთვის ეს ჩვენი მუდმივ „ხოლოსტიაკების" ჩივილი რამოდენიმედ გაუგებარია და არც საინტერესოა! ხვალ დილით მზად ვარ გემსახუროთ და დროზე გაგისტუმრებთ. შიში ნუ გაქვთ!

სიმონ წერეთელს მადლობა ვუთხარი და თანვე დავუმატე:

— თუმცა თქვენი პირადი განცდები ანგარიშში დიდ რამეს არ წარმოადგენს, მაგრამ ყოველივე დიდი შესდგება პატარეებიდან და ამიტომ მათი უყურადღებოდ დატოვება მთელს დიდათ ავნებს. სავსე კოდი მარცვლებითაა სავსე. თუ მარცვლები გამოეცალნენ, კოდიც დაცალიერდება და უშინაარსოდ დარჩება. თქვენ იცით, თუ რამდენი საუკუნე არსებობს ქართველი ერი, როგორც ერი და, სამწუხაროდ, ბადიდების მაგიერ, მცირდება და სუსტდება. მისი ნიჭი ალარ გამოდგა, როცა სიმრავლით სუსტია. ამიტომაც უფრო გამრავლებული, ახალგაზრდა ერებიც ანგარიშს არ გვიწევენ. დიდებს რა უნდა ვუთხრათ, როცა თვით დამცირებული, პატარა ტომებიც კი, ცხადლივ და ფარულად გვამცირებენ და ნამდვილ ქართულ მიწა-წყალს გვედავებიან. აქ კი, ჩემო მეგობრებო, თვითეულის თქვენთაგანის პიროვნებაც თითო მარჯვალს წარმოადგენს და ამიტომაც ეს კითხვაც სახუმარო არ არის ერის ცხოვრებისათვის. განა ეს ჩემზე უკეთ თქვენ არ გესმით?!

ამ საუბარის დროს, ჩვენდა შეუმჩნეველად დიდებულიძეს როიალი შეუჩერებია და მთელის ყურადღებით სმენად ვადაქცეულა. დაფიქრებული სახით ორივე პოლკოვნიკს შეჰყურებს. ეს შენიშნა სიმონ წერეთელმა და მაა მიუბრუნდა:

— შენ, შვილო, ჯერ კიდევ დრო გაქვს! ამიტომ ეცადე დრო არ გაგიშპეს, თორემა ჩვენსავებ დაიწყებ წუწუნს.

— მაშ ასეა საქმე?! მე მყავს ერთი საგულისხმიერო დაეხლავე წერილს მივწერ, რომ მზად იყოს შეუღლებისათვის. ალბათ ესეც არის ჩემი ვალდებულება სამშობლოსადმი! — მხიარულად ამბობს ახალგაზრდა დიდებულიძე.

— კარგადაც იზამ, ჩემო მეგობარო! თუ იმას უცადე, რომ გამდიდრდები და შემდეგ მოაგვარებ, მაშინ დღე დღეზე მიიწურება და შემოგაღამდება. და უიმედოდ გახდები სიცოცხლეში. ძალი და ღონე ახლა გაქვს! გეუბნები. ეხლა კი ვივახშმოთ და დავიძინოთ, რომ დილით უფრო მხნედ ვიყოთ და გზას გაუდგეთ! — სთქვა წერეთელმა და სასადილოში შეგვიძღვა. დაფიქრებული ვახშამს შევუდექით. არავინ ენას არ ძრავს, გარდა მასპინძელისა, რომელიც ხან ვამოშვებით ამბობს — მიირთვით, თქვენი ჭირიმე!

დილით, შვიდ საათზე უკვე მანქანაში ვისხედით და საბარგოში კი ტომრები, ბონებით სავსე. გზა მშვიდობისა გვითხრა პოლკოვნიკმა წერეთელმა და ჩვენც მანქანები დავძარით. ვიკტორ ინწკირველი გვერდზე მიზის და შევატყვე სახეზე ღიმილი. ცნობისმოყვარეობამ არ მომასვენა და შევეკითხე:

— რა გსიამოვნებს ასე, რომ სახეზე ღიმილი არ გშორდება, ჩემო ვიკტორ?!

მან ჯულიანად გადიხარხარა და მეუბნება:

— მე მინდა, რომ გავხდე მოწამე იმისა, თუ რა რიგად შეხვდებით თბილისში შენ და ნოე! შენ ხომ „უკან დაიხიე!“ — სთქვა და კიდევ გადიხარხარა.

მისმა ასეთმა გაბუმრებამ მართლაც დამაფიქრა. მაგრამ მას რომ კბილი მოვკვეთო, ვეუბნები:

— მე კი უფრო ის მაფიქრებს, თუ როგორ შევძლო ეს ვეებერთელა „ყაძახი“ ცოცხალი ჩავიყვანო თბილისში! „კრესტნი პერევალი“ ხომ წინ გვიდგას! — შევატყვე პოლკოვნიკს, რომ ღიმილი სახედან მოეშალა, რამაც მეტად შემაწუხა და ვეუბნები:

— რად დაფიქრდი, პოლკოვნიკო! წიში არ იქონიო! შენ უკვე ეს სამი დღე შეეჩვიე მთის ჰაერს და ის სიმალლეც ვერას დაგაკლებს.

— შაქარი შენს პირს! იმედიც კაი საქონელია! მარა ვინ იცის! — მეუბნება.

— კაცის გულღვარძლიანობაა, რომ ასეთი დაფიქრიანება შეგძინე, ჩემო ბიქტორ, თორემა ჩემი თქმა მართალი გამოდგება. ამაში დარწმუნებული ვარ!

ამ საუბარით უკვე აღმართს შევუდექით. მყინვარი ზურგით მოგვექცა და მანქანაც მიხვეულ-მოხვეულში დადასრიალებს. თუმცა პოლკოვნიკის მდგომარეობა ძლიერ მაფიქრიანებს, მაგრამ მინდა გავართო საუბარით და თვითონაც გამოვიწვიო ამისად, ამიტომ ვეკითხები:

— შენ დიდ ხანს ცხოვრობდი პოლონეთში და გეტყობა, რომ გულგრილი არ იქნებოდი დედრობითი სქესისადმი. როგორი მანდილოსნები ჰყავს პოლონეთის მოდგმას? თქვი ნათლად, ჩემო ბიქტორ!

მან გაიღიმა და მეუბნება:

— მანდილოსნებს იქ სრულებით ვერ ნახავ, ჩემო ვიქტორ! ყველა ქუდოსანია! უსათუოდ მათ შორის, ნახავ მეტად მიმზიდველ სახეებს, მხოლოდ უფრო ძველ არისტოკრატთა შორის. დანარჩენნი კი საერთოდ, ჩვეულებრივ, მოქალაქეებს წარმოადგენენ; მხოლოდ სოფლის მცხოვრებთა შორის, უმეტესობა, უფრო დახურული სახისანი არიან და მწყრომარედ გამოიყურებიან. საშინლად ეზარებათ რუსობა, განურჩევლად წრეებისა და ჩამომავლობისა. მე მშველოდა ის, რომ შეიტყვეს, ქართველი ვიყავი. — და გაცინებით დაუმატა: — ჩემი გვარი ხომ ინწ-

კირველია; მე კი ვეუბნებოდი ხოლმე მათ, რომ მე ჩამომავლობით „პრინც-კირელი“ ვარ-მეთქი. ჩამომავლობას იქ დიდ ყურადღებას აქცევენ და მეც მათგან პატივში ვიყავი. ისე კი, პოლონელი ქალი და მამაკაციც მეტად თავმოყვარენი არიან. შეურაცხყოფას ვერ იტანენ და სიფიცხითაც ქართველს ბევრად არ ჩამორჩებიან.

— კაცო! შეგეკითხე ქალების შესახებ და შენ კი შეგექნა მთელი „რომანი“! მათი საერთო დახასიათება, როგორც ერის, მიამბე. მე მინდა გავიგო, გქონდა თუ არა გრძნობებით ვატაცება რომელიმე დულცინეასთან! — სიცილით ვეკითხები, რომ მეტი ვალაპარაკო და უმაღლეს სერს გადავცდეთ საუბარით. ის მართლაც ჩაება და მიხვეულ-მოხვეულობით მიამბობს, რომ მართლაც იყო გაბმული სიყვარულის ქსელში, მაგრამ ომმა ის გადისროლა სხვა და სხვა ადგილზე და მისი გატაცებაც მიილულა.

ჩვენი მანქანა შეუჩერებლივ მიიჩქარის და „კრესტნი პერევალს“ გადავცილდით. ცოტა ძირს დავეშვით, სამხრეთით, და ბრწყინვალე მზე მხურვალედ მოგვესალმა. ეხლა კი შევეკითხე:

— როგორ გრძნობ თავს, ბატონო პოლკოვნიკო?

— მშვენივრად! — მიპასუხა.

— კარგი და პატიოსანი, ჩემო ბიკტორ! ხომ ვეუბნებოდი?!

— მე კი გადავრჩი, მარა შენ რა გეშველება? ნოესთან შეხვედრა წინ გიდგას და მოემზადე საომრად! — სიცილით მეუბნება: — ვიქტორ, მართლა ფიქრობ, რომ საყვედურს გეტყვის?

— რასაკვირველია, საყვედურს არ მეტყვის, მაგრამ მე ვეუბნები ჩემს თავს საყვედურს და ესეც საყოფია ჩემთვის!

— კარგი ერთი! მსაჯული შენ გაგამართლებს სინიდისის წინაშე და ტყუილად ჯავრობ. შენი უკან დახევაც ყველა სარდალს გაუმართლდებოდა. უნაყოფოდ ტანჯვა არაფერი გმირობა არ არის! შოთაც ხომ ამ აზრის არის?

„სადაც არა სჯობს, ეაცლა სჯობს კარგისა მამაცისაო“!

სწორედ პოლკოვნიკის ასეთ საუბარში მივაღწიეთ ფასანაურს. აუწერელი სილამაზით მოცული მთელი არემარე! აღმოსავლეთით, სამხრეთით და დასავლეთით მართლაც რომ წარმტაცია კაცის გულისა და სულის! დაგვავიწყდა ყველაფერი და ვეთხოვე შოფერს რამოდენიმე წუთით მანქანა შეეჩერებინა. გამოვედით მანქანიდან. ინწკირველმა ბოთლით კონიაკი გამოიღო. ერთი ნაჭერი ჯიხვის შაშხი ხელში დაიჭირა და დანით თლა დაიწყო. როგორც ეტყობა, ჩვენს შოფერსაც მადა მოუვიდა და პოლკოვნიკმა პირველად მას შესთავაზა. ცოტა შეყოყმანდა, მაგრამ პოლკოვნიკმა თვალით ანიშნა და მანაც მიიღო. მე კი თვითონ მოვთხოვე ნაჭერი და კონიაკიც კაი ჭიქა გადავკარი. ასე სათითაოდ და დალუკმება ყუათიანი შეგვექნა. პოლკოვნიკმა კიდევ ჭიქა გაივსო; ღიმილით შემომხედა და ამბობს თითქოს თავისთვის:

— ღმერთმა პოლკოვნიკი წირეთელი დიდ ხანს გვიცოცხალს! ჩემი ცხენი მას შესწირებოდეს მოხევეთა დასამშვიდებლად და ჩვენს ვიკტორ ეღენტსაც, ნოე თავისებურ შუბლ-ნათლად შეხვედროდეს და მათ შორის ფიქრთა ომი გაჭარწყლებულიყოს! ურაააა! — სთქვა და კონიაკი გადაჰკრა; მერმე გაავსო და მომაწოდა:

— არ გამიწბილო, ვიკტორ!

გამეცინა და ვეუბნები:

— შენ ეხლა „ფრონტზე“ ggონია თავის თავი! რომელ ომზე ლაპარაკობ? ნოესთან საომარი რა უნდა მქონდეს? ჭიქას კი დავცლი ნოეს სადღეგრძელოთ, — ვეუბნები და ჭიქასაც ვცლი და შოფერს ვუწოდებ. ინწკირველმა მას ჭიქა გაუვსო და მომიბრუნდა:

— ყველაზე უარესი ტანჯვა კაცისა იმ დროს არის, როცა მას გასავლელი აქვს გზა და დრო, მეგობარ მბრძანებელთან შეხვედრამდის, თუ ცოტა ეჭვებს აქვს ადგილი შეხვედრამდე. გულ-ერთგულებას, პატარა რამ, ტკივილს აგრძნობინებს და გულიც დაიკოდება. მაგრამ ამ წუთას,

ამაებს ვამბობ ხუმრობით და იმედია შენც მაპატიებ. სრულებით მართალი ხარ, ჩემო ვიკტორ! მეუბნებოდნენ და მართლაც მახვილი ჭკუის ყოფილხარ!

ეხლა კი წავიდეთ და რამენაირად შუადღეზე თბილისში შევიდეთ. დღესვე უნდა ვნახო ნოე და მოვახსნო.

— ფულები სად უნდა მივიტანოთ? — მეკითხება იგი.

— სასახლეში, რასაკვირველია! იქ გვარდიის დარაჯია და სალაროც იქ არის ჯერჯერობით.

— არც ღირდა სათრევად ეს ტომრები! მაგათი ბონები რას წარმოადგენენ!

— რა უნდა ვქნათ! ბრძანება — ბრძანებაა! და ჩვენც უნდა შევასრულოთ.

შოფერმა მანქანა ააქშინა და ჩვენ შიგ შეველით. შეწყდა ჩვენს შორის საუბარი; ალბათ თვითეულს თავისი ფიქრები გვიტრიალებს. დროს თვალყურს არ ვადევნებთ და მოგვესმა შოფერის ხმა:

— ქალაქი დუშეთი. გსურთ შეჩერდეთ?

— რას იტყვი, პოლკოვნიკო? — ვეკითხები ვიქტორს.

— შენი საქმეა. არ მშია და რომ ჩამოვალთ, ხო იცი, ეს ჩვენი ოხერი ბიჭები, ოფიცრობა! არ გაგვიშვებენ და შენ კი გეჩქარება. მერე მე არ დამაბრალო!

— სწორი ხარ! უთხარი შოფერს ვიჩქაროთ.

მანქანა შეუჩერებლივ მცხეთისკენ დაექანა. უკვე შუადღე ახლოვდება და მიჩქარის ფიქრი, რათა მოვიცილო დავალება თავიდან. მომაგონდა, რომ თუმცა არ გვშია, მაგრამ შოფერისთვის არ გვიკითხავს და ცალსახითი გადაწყვეტილება მივიღეთ და ამიტომ ვეუბნები პოლკოვნიკს:

— კაცო! ჩვენ მაძღრები ვართ, მაგრამ შოფერი რა რიგ არის? ჰკითხე.

მანაც აჩქარებით ჰკითხა და უთხრა, რომ საუზმე მზად მაქვსო, მაგრამ შოფერი მტკიცე უარს ამბობს და მანქანა ააჩქარა: — საათნახევარში თბილისში ვიქნებით!

მართლა თორმეტს ბევრი არ აკლდა, რომ საბურთა-

ლოს მიეღწიეთ და თბილისის ხმაურობამაც თანდათან იმატა ყურთა სმენაში. ინწკირველი მეუბნება:

— რა განსხვავებაა ერთი წლის წინეთ დროისა და დღევანდელს შორის! მაშინ არავის არ წარმოედგინა. თუ ასეთი წესრიგი დამყარდებოდა ამ ჩვენს მთავარ ქალაქში. თუ რომ ჩვენს მთავრობას გადაჭრით მკაცრი ზომები არ მიეღო ანარქიის წინააღმდეგ და გენერალ კონიაშვილისათვის არ მიეცა უფლება მის ასალაგმავად, და კიდევ, ალექსანდროვის ბაღში, მიტინგზე, სერიოჟა ქავთარაძის მეთაურობით, ეროვნულ საბჭოს რომ გარეკით ემუქრებოდა, ტყვიისმფრქვეველებით არ ეპასუხათ, დღემდის სამოქალაქო ომი გაგრძელდებოდა და ქართველი ხალხი ამოიჟლიტებოდა. დაილოცოს ნოე ჟორდანიას ჭკუა და მოქმედება!

გამახსენდა მუშათა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საერთო სამსაჯულო ხელიგან ნასალდათარ-გაბოლშეკეებულ ფრონტიდან გამოქცეულ ჯგუფებისა, რომლებიც შემადგენლობით სხვა და სხვა ეროვნებისა იყვნენ: ქალაქის მილიციას თავს ესხმოდნენ თავის გასართობად და მტკვრის ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირზე გამვლელთ მიზანში იღებდნენ, თუ გავარტყამთ ტყვიასო, რაც ცხადად გამოირკვა მსაჯულობის დროს; გამახსენდა ისიც, რომ ზოგი ვექილი მსაჯულთა წინაშე იცავდა მათ პიროვნებას სხვა და სხვა ჰუმანიური მოსაზრებით, მაგრამ მსაჯულთა ერთსულოვნებამ ყველას სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა და განაჩენი მაშინვე სისრულეში იქნა მოყვანილი წმინდა, მუშური გვარდიის მიერ. ელვის სისწრაფით გაირბინა ჩემს თავში და ვუპასუხე ბიკტორ ინწკირველს:

— სამწუხაროა, ჩემო ბიქტორ, ის, რომ ზოგს რევოლუციონერობა თოფის გასროლა ჰგონია და ამიტომ ზოგნი. საზოგადოებაში ცნობილნი, ასეთი შეხედულებით ზიანს იძლევა კანონიერ ურთი-ერთშორის დამოკიდებულებაში. მხოლოდ ძირითადი კანონის შეცვლა არის რე-

ვოლუცია და არა ზარბაზანის სროლა! ნოე ნამდვილი რევოლუციონერი რომ არ იყოს, მაშინ მისი ავტორიტეტიც არ გვექნებოდა! — ვთქვი ესა და მანქანაც გაჩერდა სასახლის შუა შესავალთან, რომლის წინ გვარდიის დარაჯნი დასეირნობდნენ. მივესალმე და მომესალმენ; ვთხოვე მათ გადმოეტვირთათ მეორე ავტომობილიდან ტომრები და ბიუროს წინ დაელაგებინათ. მათ სწრაფად შეასრულეს ჩემი თხოვნა და ინწკირველსაც თავისი შოფერით გამოვემშვიდობე და რადგან სასახლესთან ახლოს იყო ჩემი ოჯახი, სახლისკენ ფეხით წავედი. გამოვედი თუ არა საშხედრო „სობოროს“ ვვერდით, გავხედე და დავინახე: ამ ჩვენ ნოეს დაუდვია თავი და პორტფელით ხელში, მარტო მიიმართება აღმართს, თავისი ბინისაკენ. ურთი ერთის დანახვა ერთსა და იმავე დროს მოხდა და მასაც ღიმილი შევნიშნე და გავეშურე მისკენ. მეკითხება:

— უკვე ჩამოდი, ვიქტორ! როგორ იმგზავრე? ხომ კარგად ხარ?

— აი, ამ წუთას მოველ! თავს კარგად ვგრძნობ. შენც კარგად ხარ, ვხედავ, და სხვა რა გვინდა!

— აბა, იჩქარე, ადი სახლში და ბავშები ნახე! თუ არ შეგეზაროს საღამოს შემოიარე ჩემთან, სამდივნოში, არა უგვიანეს ოცდა ერთი საათისა. აბა, წადი! არ დაგავიწყდეს! ნახვამდის.

მეც უსიტყვოდ დავემორჩილე და მალეც ბინას მივედი; ნოეს ბინაც ახლო იყო და კარებში შესვლისას მისკენ გავხედე, როს ის შედიოდა საგარეო სამინისტროს კარებში (იმ სახლშივე მისი ბინა იყო). უფრო სიმშვიდე ვიგრძენი და ბინაში შესვლამდე ხმა მაღლად ჩავილაპარაკე:

— ყველაფერი კარგია, მაგრამ ჩემი „კინტოები“ რას შვრებიან, ნეტაი!

ამის თქმა ერთი იყო, რომ სამივე შვილმა კარი გაფეთქა, ქალიშვილი კისერში და ბიჭები კი ფეხებში მეცნენ; ძლივსღა შევედი პირველ ოთახში, რომ მდივანზე დამაგორეს სიცილ-ხარხარით; არც ამომაღებინეს ენა! თვით

დაიწყეს ტიკტიკი, თუ როგორ დამინახეს ფანჯრიდან, როს „ბაბუას“ ვემზვიდობებოდი (ნოეს ჭალარა მალე გაუჩნდა) და დაირაზმნენ შესახვედრად. დედა სამზარეულოში არისო და სადილიც მზად იქნებაო! სამივენი ერთ ხმად ამბობენ, რომ ერთმა მეორეს არ მოასწროს! მე კი გულალმა ვწევარ. სახლის დიასახლისიც გამოვიდა და მისალმებისთანავე სასადილოში მიგვიწვია. სახე კი დაფიქრებული ჰქონდა. შევეკითხე:

— რატომ ასე დაფიქრებულხარ?

— აი, როგორი პური გვაქვს!

— ხოო! მეტი არაფერი? მაგიც მალე გამოსწორდება, ჩემო კეთილო! გიორგი ერაძე ცდილობს და ცდაც გაუმართლდება! მანამ უნდა ავიტანოთ. მეტი გზა არ არის! (ერაძე მომარაგების მინისტრად იყო). მართლაც პური საშინელება იყო; სხვა სანოვაგეც ძნელი საშოვნელი იყო; ასე რომ დედაკაცებს ძლიერ უძნელდებოდათ მისი შოვნა და ჩემი მეუღლის დაფიქრიანება, ჩემს მიერ გამართლებული იყო, ვინაიდან წვრილი ბავშვების კვება მ.ს კისერზე იყო დამოკიდებული.

საღამოს შვიდ საათზე, დათქმულობის თანახმად, ნოეს სამდვინოში ვეახელ და მოხსენებისათვის მზად ვარ ჩემი ყაზბეგში მოგზაურობის შესახებ. კარი გამიღო გიორგი ცინცაძემ, მეტად მხიარული ღიმილით. შესვლისას ვხედავ მაგიდასთან, ნოეს პირდაპირ ზის სილიბისტრო ჯიბლაძე და შევატყვე ორივეს დაფიქრიანება. ეთხმად შემომძახეს:

— ჰოო! ჩვენი ვიქტორი! — და ნოემ მოღიმარი სახით, ხელი გამომიწოდა და სილიბისტროს თვალი უქნა. მეც გამეღიმა და მოხსენებისათვის მოვემზადე...

— ნუ ჩქარობ, ჩემო ვიქტორ! — მეუბნება სილიბისტრო — ეხლა ჩვენ უფრო დიდი საქმე გვაქვს, ვიდრე წარსული საქმის მოხსენება და იმედია, არ იწყენ! ჯერ დაჯექი და ისე მოისმინე.

— ბრძანეთ! — მოკლედ ვუპასუხე და დავჯექი. ნოემ ლიმილით მომხედა და მითხრა:

— შეთანხმებით შინაგან და მიწათმოქმედების სამინისტროებთან და როგორც ხედავ აქ სილიას, ე. ი. ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან, გევალება შენ მოაწესრიგო საქმეები გორის მაზრის ჩრდილო ნაწილის, ლიახვის იქით, განსაკუთრებით სამაჩაბლოს. ხსენებული სამინისტროები ყოველი საშუალებით დაგეხმარებიან, რომ იქ წესრიგი დამყარდეს, ვინაიდან დღემდის იქ სიმშვიდე დარღვეულია იმის შემდეგ, რაც იქ ამხანაგები დაგვიხოცეს: გიორგი მაჩაბელი და სანდრო კეცხოველი. შენ ეს უნდა მოაგვარო.

სილიბისტრო კი ამატებს:

— ვიცით, რომ ცოლშვილი გყავს; დროგამოშვებით ჩამოხვალ და სანოვაგით, უყურადღებოდ არ დავტოვებთ. შენზე შეჩერდა ჩვენი ყურადღება და აბა შენ იცი, ჩემო ვიქტორ!

მე კი ხელი შუბლზე გადავისვი და მათ წევხედე; ვნახე, რომ ორივე დამკვირებია. თვალები გავუსწორე მათ და ვეკითხები:

— განა თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ მე შევძლებ შევასრულო თქვენი დავალებანი? ვფიქრობ სუსტი გამოვდგები და თქვენც გაწბილდებით.

— ამაში ჩვენ დარწმუნებული ვართ და ჩვენივე საქმეა! მხოლოდ შენი თანხმობა გვინდა.

— მაშინ მე უნდა მქონდეს მიღებული უფლება, რომ ჩემს მოქმედებაში არავინ ჩაერევა; რომ მე ვარ პირდაპირი პასუხისმგებელი; თუ რაიმე არა შესაფერისი მოხდება, მხოლოდ სასამართლომ და არა პირადულმა კინკლაობამ, როგორც ხდება, ხანდისხან იგივე ჩვენი ამხანაგებიდან. განა არ ვიცი, რომ თქვენ სავსებით გესმით, თუ რა ვალდებულებას მდებთ თქვენს წინაშე და აგრეთვე საზოგადოების წინაშე! ვიცი და ამიტომ გთხოვთ კიდევ დაფიქრდეთ, თუ რამდენად ჩემი ძალით შეეძლებ

ასეთი დავალების შესრულებას. უკეთესია ათჯერ გაზომოთ! ეს თქვენ ჩემზე უკეთ გესმით!

— აი, სწორედ რომ ათჯერ გავზომეთ და შენზე შევჩერდით. ნოე რამიშვილი და ნოე ხომერიკიც ამ აზრის არიან. — მეუბნება ნოე ორდანია და სილიაც უდასტურებს.

— რაღა დამრჩენია! უნდა დავემორჩილო თქვენს გადაწყვეტილებას. მხოლოდ თქვენი ზნეობრივი დახმარებით თუ შევძლებ!

— ამაში ეჭვი ნუ გექნება! ხვალ შესაფერ საბუთს ჩაგაბარებთ და შენზე იქნება დამოკიდებული, თუ რა ადის შეუდგები საქმეს. ისე კი, დაგვიანება გვაესეს. — ამბობს ნოე და რა მის სიამის სახეს დავაკვირდი, თითქოს მეუბნებოდა: შენც მენანები, მაგრამ შენ უნდა გადადგა თავიო! სიტყვიერად კი დაამატა:

— შენს ოჯახობას, როგორც გითხრა სილიამ, უყურადღებოდ არ დავტოვებთ. მაშ ასე! საქმე გათავებულია! დაემზადე, ჩემო ვიქტორ!

დღესაც მისი მზრუნველობითი სახის გამომეტყველება წინ მიდგას და სანამ ცოცხალ ვარ, ჩემ თვალთა სარკეზე ახატული იქნება.

აბონდანი, სექტემბერი, 1957 წ.

ნ ო ე ს !

იმას, ვისაც მსახურებდი,
მეცა ვუხმობ საყვარელსა;
მუდმივ ვდივარ, ვერ ვისვენებ,
ვეძებ, ცრემლით, სანატრელსა.

შავ გალიას გასაგლეჯად
იგი კედლებს თავს აწყდება;
ხან მშვენივრად იგალობებს,
ხან ცრემლადაც დაიღვრება.

მაგრამ მწამს, რომ ის არა დროს
მახვილს ხელთგან არ გაუშვებს;
შავ გალიის მავთულთ გაჰკრავს,
მტერს ტყვეობას არ დაუთმობს;

თავსა იშვებს თავისუფლად
და შენს სახელს უკვდავად ჰყოფს.

აბონდანი, აპრილი, 1957 წ.

თავი მეოთხე

ეს ისეთი დროა, როცა თბილისის გარედ თითქოს საშინელი ოხშივარის ტალღები სუნთქვას გუბავს, რაც გამოწვეულია ოსმალეთის ფრონტიდან რუსული ჯარების მოხსნით და ჩრდილოეთისაკენ მსვლელობით, რომლის სათავეშიც ბოლშევიკებს სურვილი აქვთ მოექცნენ და მა-

თი საშუალებით თბილისი ხელში ჩაიგდონ, რუსულ სამოქალაქო ომში გაჰხვიონ და ამიერკავკასიაც მონაწილედ გახადონ სამოქალაქო ომის, როგორც შიდა რუსეთში, სადაც სისხლისღვრა მიმდინარეობს. განა ნახევარი მილიონი ჯარის წინააღმდეგ, როდესაც ამიერკავკასიაში ჯერაც არც ერთმა ერმა არ იცის თავისი საზღვრების ფარგლები, რომ რევოლუციის ხელმძღვანელობამ შესაფერი მოწოდებით მიმართოს შესაფერისად დაწყობილ ფარგლებში მცხოვრებთ, რომ თავისი თავის დასაცავად შეიარაღდეს და აღვირ-ახდილ „სალდათთა“ შემოსევას წინ აღუდგეს, რათა ღირსებანი ოჯახისა, ქონებისა და თავმოყვარეობისა დაცულ იყოს, — ამ დროს თბილისი არის ის წერტილი ამიერკავკასიაში, რომელშიდაც, ასე თუ ისე, კაცი-ადამიანი თავის თავს ცრძნობს კაცად-ადამიანად და საშუალება ეძლევა თავისუფლად იმსჯელოს, სხვას შეხვდეს და სხვებთან თავი შეიყაროს: ასობით და ათასობით, ყველგან: თბილისიდან შავი ზღვის ნაპირებამდე, ყოველი თბილისის მსმენელია და მასთან დაკავშირებულია ორგანიზაციულად. და სამაგალითო ის არის, რომ მხოლოდ თბილისის მუშათა გვარდია, რომელიც პირველად შექმნა მუშათა საბჭომ, შეიარაღებულია და წარმოადგენს ისეთ ზნეობრივ ძალას, რომ თბილისის მოქალაქენი და შორს, მის გარეშედაც, დიდის პატივით და მორიდებით ეპყრობიან მას. ასე თუ ისე, მუშათა გვარდია არის დამცველი, როგორც შინაური წესრიგის. ისე გარეშე მოწინააღმდეგეთა ლაგამის ამდები. და თუ სადმე, ქართველთა მჭიდრო მოსახლეობის მეზობლად რომელიმე სხვა ჯურის ხალხთა მოსახლეობა, თვითმპყრობელ რუსეთის მმართველობისგან ჩასაბლებული, არეულობას დაიწყებდა, ისიც იქვე გაჩნდებოდა და სიმშვიდე დამყარდებოდა. ყველამ იცოდა, რომ ეს მუშათა გვარდია, როგორც ზნეობრივად, აგრეთვე ქონებრივად, დამოკიდებული იყო მხოლოდ და მხოლოდ ქართველი ხალხისაგან და ამ უკანასკნელის სახელით კი მოქმედებდა სოციალდემოკრატიული პარტია.

თბილისის ასეთი მდგომარეობა გრძელდება თებერვლიდან, ე. ი. **რევოლუციის დაწყებიდან 1917 წლისა და უკვე ხუთი თვე გადის,** რომ მუშათა საბჭომ, სოც.დემოკრატიული ხელმძღვანელობით, გადასწყვიტა, რომ საჭიროება მოითხოვს დღევანდელი ცხოვრების პირობებით, რომ ქვეყნის რიგზე მოყვანისათვის სოფლის მცხოვრებთა ძალ-ღონეც ამოძრავდეს და სოფელმაც აკტიური მონაწილეობა მიიღოს წესრიგის დაცვაში. მაშასადამე, უნდა დაარსდეს გლეხთა საბჭოც, რომელიც უნდა დაუკავშირდეს მუშათა საბჭოს და ერთ აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენდეს. ამის სისრულეში მოყვანა მოითხოვს გლეხთა ყრილობის მოწვევას, ყველა მხარედან, სანამდის თბილისის გავლენა აღწევს, როგორც მაგალითად, აღმოსავლეთით თიანეთის მაზრის მოხაზვით; სამხრეთით, ახალქალაქ-ახალციხის მოხაზვით; დასავლეთით, გურია-სამეგრელო, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი-სვანეთი-დუშეთი, ხევსურეთი. ეს მიწის აღწერილობა ცოცხლად გვიჩვენებს, თუ რამდენად გაბედული უნდა იყოს ის მიმართულება, რომელსაც აღძვრია სურვილი, რათა ასეთი ხანძარის დროს მოაწყოს დემოკრატიულ პრინციპზე კანონმდებელი და აღმასრულებელი ორგანოები. ამ რაიონების საერთო ჯამში აღმოსავლეთ-სამხრეთის ნაწილებში ხომ დასახლებულია ორი „ნაციის წარმომადგენლობა“, ურთიერთის სრულებით მიუკარებელი და მოსისხლედ გადამტერებული: სომხობა და თათრობა! სწორედ ეს არის ქართველთათვის მეტად სახიფათო გზა, რომ ამ ორი ერის წარმომადგენლობის ერთად შეყრა არ შეიქნეს თვით თბილისისათვის პროვოკაცია და არ მოხდეს მათ შორის სისხლიანი შეტაკება, როგორიც მოხდა ბაქოს გუბერნიაში, ამ სამი თვის წინად, და შეწყდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ინგლისელების ჯარმა დაიკავა ბაქო.

ეს ამბავი ყველამ იცის, მაგრამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა შეურყეველია და იმედი მხოლოდ ორგანიზაციულ მოწყობაზეა დამოკიდებული.

რალაც ერთი კვირის განმავლობაში სოც.დემ. პარტიის მთელი პროპაგანდისტთა ძალა შეიკრიბა და იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ თითოეულ პატარა რაიონისათვისაც ორი თუ სამი პასუხისმგებელი პიროვნება აღმოჩნდა. მათ ევალებოდათ: რა ხალხი შეიკრიბებოდა და მას ამოცანაა გააცნობდნენ, მაშინვე ერთი ან ორი წარმომადგენელი აერჩია ხალხს, შეფარდებით სოფლის სიდიდისა და მზად ყოფილიყვნენ ყრილობაზე დასასწრებლად. ყოველივე ხარჯს თავის თავზე ღებულობს მუშათა საბჭო. ვინაიდან ქართულ მოსახლეობაში დიდი პროპაგანდა არ იყო საჭირო, ამიტომ მთავარი ყურადღება მიქცეული იყო თათრობაზე და სომხებზე. თათრობაში საპროპაგანდოდ ყურადღებას იქცევდნენ უფრო მუშები, რომლებიც ქარხნებში მუშაობით დაკავშირებული იყვნენ ქართველ მუშებთან და მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდათ ურთი-ერთ შორის. ასეთები სამყოფად აღმოჩდნენ და მათთან კიდევ თბილისის ახალგაზრდობა, სამოქალაქო სკოლებიდან, თანამგზავრი ქართველობისა, ასე რომ მათი ძალები საკმაო აღმოჩნდნენ და საქმეშიაც ჩაერევნენ. სომხების ახალგაზრდები უფრო დაშნაკის პარტიის მიმდევარი იყვნენ, მაგრამ სომხებში საშუალო ხანის პიროვნებათა შორის, რომლებიც სოციალ-დემოკრატიის წევრი, ან მიმდევარი იყვნენ, მეტად დინჯი საპროპაგანდო წრედ შეიქმნა და საქმესაც შეუდგა. განურჩევლად ყველა გრძნობდა, რომ გლეხთა ყრილობა აუცილებლად საჩქაროდ უნდა მოხდეს.

მეტად საგრძნობი შეიქნა აგრეთვე გენერალი ახმეტელის თბილისის კომენდანტად დანიშვნა. მან შექმნა თბილისის მილიცია და მისი მილიციის მოქმედება დააკავშირა მუშათა გვარდიის მოქმედებასთან. ამრიგად, თბილისი შიგნით საკრძნობლად გამაგრებულია და სიმშვიდეც ისეთია, რომ შემთხვევით ანარქიულ გამოსვლებს ლაგამი ამოდებული აქვს. ამ მხრით, პროპაგანდისათვის ხელის შემშლელი წინასწარ დამარცხებულია და ფიზიკურადაც დაისჯებოდა. რასაკვირველია, პარტიის ყვე-

ლა წევრი თავის თავს ვალდებულად სთვლის მუშათა გვარდიას და მილიციასაც დახმარება გაუწიოს. ვინაიდან როგორც ერთის, ისე მეორის შემადგენლობა უმთავრესად, ს. დ. ბ. პ. წევრებისაგან შესდგებოდა. ქართულ გაზეთებშიდაც გაიელვა ცნობამ საერთო გლეხთა ყრილობის შესახებ და მისი აუცილებლობის საჭიროებას ასაბუთებდა და ადასტურებდა პრესასაც. ამრიგად, საზოგადოებრივი აზრიც მას მომზადებული ხვდება.

გადაწყდა: გლეხთა ყრილობის მოწყობა მოხდეს უკანასკნელ კვირას ივლისის თვისა 1917 წ., ცხრა საათზე. ვერის ხიდთან, მტკვრის პირზე. წამდგარია დიდი მოედნით ნიკიტინის ცირკი. ცირკის შინაგანი მოწყობილება და სიფართე არა ნაკლებ ორ-სამ ათასამდე კაცს თავისუფლად დაიტევს. მტკვრის მძლავრი მოძრაობის სიგრილეც მის მოედანს სიამით ჩაურბენს და თითქოს უკარნახებს ყველას სიმშვიდესა და ჭკუას, რათა სიცხეს არ აჰყვეს და თავი პატიოსნად დაიჭიროს.

კვირა დღეა და მზემაც უხვად დააფრქვია თავისი სხივები თბილისს; მისი ქუჩებიც ხალხის მოძრაობით ღელავს; მოწყენილ სახეს იშვიათად დაინახავთ და მით მხნეობა გემატებათ.

არავითარი ჯგუფური შეხმაურება არ მოისმის; მაგრამ რა დააკვირდები ხალხის დენას, მისი უმრავლესობა ვერის დალბართის დასაწყისში იყრის თავს და ნელ ტალღად ვერის ხიდისაკენ მიეშურება. პროპაგანდისტები კი, რომლებსაც თავთავიანთი სიები აქვთ გლეხთა არჩეულების, თბილისის გარეჯან შემოსავალს დარაჯობენ, რომ დელეგატს ცზა არ აებნას და დანიშნულ ადგილს მივიდეს.

ცირკის დარბაზი გაწყობილია სამ რიგად. სამ კუთხით დაწყობილი სკამებით. თითოეულ მათგანს შეუძლია ცენტრად იქცეს ქართველების, თათრების და სომხების.

პრინციპი ყრილობისა: ყველა საკითხი გადაწყდეს შეთანხმებით. თუ დაჯინებით იქნა რაიმე მოთხოვნილება, მაშინ ხმების დათვლით, უმრავლესობით. დღის წესრიგ-

ში ყველაფერი გათვალისწინებულია.

ყველაზე უწინ დარბაზში შემოდიან ქართველების დელეგატები და ერთ რიგს სკამებისა იკავებენ; თითოეულის მათგანის სახის გამომეტყველება ამტკიცებს, რომ ისინი არიან მასპინძლები და სტუმრებისადმი დიდი მორიდება და თავაზიანობა ესაჭიროებათ.

თანდათანობით შემოდიან თათრების წარმომადგენლებიც და ქართველები მათ უჩვენებენ სკამების რიგზე, რომელსაც მოისურვებენ. ერთი მათგანი, მიმოიხედავს თუ არა, ჩქარის ნაბიჯით ქართველების მარჯვნივ იქერს სკამს და სხვებიც იმ მხარეზე იკავებენ ადგილებს. ბოლოს სომხებიც დარაზმულად შემოვიდნენ დარბაზში და ძალაუნებურად ქართველების მარცხნით აღმოჩნდნენ. აშკარად სჩანს, რომ მათ მოთავედ ჯამალიანი არის და რიგის სათავეშიც ზის. ცნობილია, რომ ის ერთ მეთაურთაგანია დაშნაკის პარტიისა. სომხების წყობა ხმა დაბლა საუბარშია, როცა თათრებს სრული სიჩუმე უჭერია.

ქართველებიდან ხშირად დაინახავთ, რომ ხან ერთი, ხან ორი შედის სომხებისა და თათრების რიგებში და ღიმილით საუბარს მართავენ მათთან.

ცირკის მრგვალი ქანდარები სავსებით გაჭედილია თბილისის მოქალაქეებით; დელეგატთა ირგვლივადაც, შიდა დარბაზი, საზოგადო მოღვაწეთა და მწერალ-ჟურნალისტთა მიერ ავსებულია. ცირკის გარეთა მოედანიც ხალხითაა სავსე — მოლოდინში! განსაკუთრებით ერთი მაგიდა, რომლის ირგვლივ ოთხი სკამია დადგმული. ყველას ყურადღებას იპყრობს, ვინაიდან აქედან უნდა მოისმას ხმა ყრილობის გახსნისა. სწორედ ათი საათი სრულდება, რომ მარტოდ-მარტო, აკაკი ჩხენკელი, მხიარულად თავაწევით გამოდის დელეგაციის წრიდან, მიდის მაგიდასთან და ამ დიდ კრებას მიმართავს:

— ამიერკავკასიის კომისარიატის სახელით გლეხთა ყრილობას გახსნილად ვაცხადებ! ვუსურვებ მას სრულ გამარჯვებას წესიერების დამყარებაში და ძმურად შრომაში ერთი-ერთ შორის! და ყრილობამ რომ თავისი და-

ნიშნულება შეასრულოს, წინადადებას ვიძლევი ეხლავე აირჩეს თავმჯდომარე, რომელიც დღიურ წესრიგსაც წარმოადგენს მის წინაშე გასარჩევად და გადასაწყვეტად. ვთხოვთ აირჩიოთ თავმჯდომარე!

სომეხთა რიგებში ხმაურობა ატყდა და ჯამალიანი იძახის ადგილიდან, რომ კრება შესწყდეს და მოლაპარაკება გაიმართოსო. ამას შეედავნენ ქართველები და სთხოვეს სომხებს, საქმეს ნუ გავაჭიანურებთო და ეხლავე შევუდგეთ კითხვების გარჩევასო.

რაღაც გაურკვეველი ხმაურობა ასტყდა და აკაკი ჩხენკელი, გაფიცხებული, მაგიდაზე დადგა და კრებას წესრიგისაკენ მოუწოდა. ეს ხმაურობა ქართველებსა და სომხებს შორის არის და გასაკვირვი ისაა, რომ თათრები სრული სიჩუმით არიან შეპყრობილი, თითქოს სრულებით არ აინტერესებდეთ, რაც ხდება. ჩვენი ყურადღება კი მათზე, თათრებზეა მიპყრობილი. მხოლოდ მათი თვალების გამომეტყველებაში შეამჩნევთ, რომ მათ რაღაც გადაწყვეტილება უკვე მიღებული აქვთ. და მე ასეთ ძარღვებ დაჭიმულ დროს ვილაც ზურგიდან ხელს მადებს; მივიხედე, ლადო ახმეტელი იყო; მან მითხრა:

— ვიქტორ! აბა, ერთი შეხედე, თუ ანგელოზს არა ჰგავს ეს ჩვენი ნოე!

მეც დავაკვირდი. სამი წყობით სკამებისა ჩემგან მას შევყურებ პროფილით. აცვია თეთრი კიტელი და პერანგის საყელო მოწვეული აქვს. დამჯდარს ჯოხი წინ დაუბჯენია და ხელით მასზე ჰილობის ქუდი მიუჭერია. ფიქრებში ვამართლებ ლადოს სიტყვებს და ამ დროს რაღაც. ფუტკარის ბუკის ხმისაებრ, ხმაურობის ამოძრავება გაისმა და რა მოხდა! ვეფხვივით ოთხი თათარი წამოხტა, ნოე ორდანიას მიუვარდა, აიტაცა ჯოხითა და ქუდიანად. „ტრიბუნის“ მაგიდასთან მიიყვანა და ზედ მაგიდაზე დასვა და შესძახა:

— იაშასუნ კარდაშ-გურჯი!

სიჩქარით დანარჩენი თათრობაც ფუტკარივით გარს შემოერტყა ნოეს. ქართველობას რაღა დარჩენოდა! მათ

მიემატნენ ქართველებიც; ამ დროს ნოეც სრულად ამარ-
თული, მარჯვენა ხელს აიშვერს და მოკლედ აცხადებს:

— კრება დახურულია! გაგრძელდება ოთხი საათიდან.

ამ ამბავს სომხებმა მხოლოდ ფეხზე ადგომით უპასუხეს. ჯამალიანს კი მწარე ღიმილს თუ შეატყობდი.

ცირკის შიგნითა და გარე მოედანი სრულებით გაერ-
თიანდა და ტაშის ცემა და ვაშას ძახილი არ შეწყვეტი-
ლა, სანამ ნოე ჟორდანია არ ჩაჯდა ეტლში და ვერის
ალმართს შეუდგა.

ეს ამბავი ასე იყო და ვინც კიდევ რაიმეს იტყვის ამიერ
კავკასიის ხალხთა მოძრაობაზე, ვურჩევთ მათ: — ყო-
ველთვის ნოე ჟორდანიას მოღვაწეობა შეისწავლოს და
მაშინ ის მიიღებს სწორ და ურყევ, საღ პასუხს!

ლეონტი ყღენტი

მიზეზები ოცდაექვსი მაისის წარმოშობისა
და
დღესასწაულობისა

შესავალი

ყოველი ის, რაც ჩვენს წინაშე გამოჩნდება და ახლად წარმოშობილად ხდება კაცობრიობის ცხოვრებაში, მას, უსათუოდ შესაფერი წარსულის ნიადაგი აქვს და ამ ნიადაგის შემადგენლობის მიხედვით შესაფერისი ნაყოფიც წარმოიშვება. კარგად მსუყე ნიადაგის საშოდან მშვენიერი და სურნელოვანი ვარდნი და ყვავილნი გაიფურჩქნებიან, ყალბ და უნოყიერო ნიადაგზე კი ფეჩეკი და უსუნო, ან უფრო, ჟალტამის სუნით გაჟღენთილი, წარმოიშვებიან.

კაცობრიობის ცხოვრების წარსულიც, რომელიც ჯერ კიდევ განუზომელ დროდან მომდინარეობს და რომელმაც დღემდის მრავალი დროებები და პირობები გამოიცვალა, რის გასწვრივ ბევრი სახელმწიფოები და ერები, თითქოს, გაჰქრა და დღეს, ჩვენს დროშიდაც თავი წამოჰყო ცხოვრების გასახახლებლად და სიცოცხლის გასაგრძელებლად, ასეთების პირადობაც, უსათუოდ, დამყარებულია მის წარსულზე და იმ ნიადაგზე, თუ რამდენად მათ მიმალვის, ესე იგი, მათ ჯერ კიდევ არსებობის დროს

რაოდენ სიმაღლეს აღწევდა მათი კეთილშობილება ადამიანობის თვისებების მიხედვით კაცობრიობის წინაშე.

ასე და ამრიგად. ჩვენი სამშობლო, საქართველოს მიმალვის, ასჩვიდმეტი წლის შემდეგ (1801 — 1917 წ.წ.) წარმოშვება და გამოჩენა და ოცდაექვსი მაისის მისგან წარმოდგენა და დაბადება, სწორედ, მის წარსულზე იყო დამყარებული და დროთაბერუნვის შემდეგ, კვლავ სრულის სილამაზით აღსდგა და კაცობრიობას აუწყო თავისი უკვდავება. ამის მიზეზები საქართველოს წარსული ცხოვრების ძირფესვების ღრმად გადგმულობა იყო და ზემოდან, მის თავს ქარიშხალის ტრიალი ვერ არყევდა და ოდეს მტრის ქარიშხალი კლდეს შეეხეთქა და დანაწილდა, დაიცრიცა, ქართველმა ერმაც ღირსეულად ისარგებლა მისი მტრის მისდამი დამოკიდებულებით და სწორედ მაისის თვის ვარდებით თავი დაიგვირგვინა.

ეხლა კი შევუდგეთ 26 მაისის წარმოშობის მიზეზების განხილვას და მისი სინამდვილის აღნიშვნას:

კაცობრიობას, გაჩენისათანავე, ერთი დიდად სამწუხარო ავადმყოფობა დაჩენია. ვერ ვხვდებით ერთ ხანასაც კი მის ცხოვრებისას, რომ ეს ავადმყოფობა არ ახლდეს და მას არ აწვალებდეს. განკურვნის მიზნით სასწაულებს დაეძებს და ვითომც კიდევაც პოულობს; მას დღეობად და სამხიარულოდ იწესებს; ფიქრობს თავი ხსნილი აქვს სენიდან, მაგრამ, მაგარი ის არის, რომ იმავე ხანის გასწვრივ იგივე სნეულება იჩენს თავს და იგივე კაცობრიობა იმავე მწუხარებაში ვარდება და ახალი სასწაულების მომლოდინედ რჩება.

რა მიზეზია მისი შეწუხებისა და წვალებისა?

მთავარი მიზეზი თვით არსებობაა! იგი კაცობრიობა, ხომ ადამიანებიდან შესდგება! თითეული ერთეულიდან მთელი და მათ შორის დამოკიდებულება იწვევს მწუხარებასა და წვალებას. მთელმა, ე. ი. კაცობრიობამ, შესძლო შებრძოლება და დამარცხება მრავალი შემაწუხებელი ბუნების მოვლენებისა. — შეიძლება ითქვას, რომ „შემქნელის“ მრავალ საიდუმლებას მიუხვდა და თუ მის-

თვის რაიმე საზიანო იყო, თავიდან აიცდინა, ანუ დაიმორჩილა: მეხი, ყინვა, წყალი, ცეცხლი, ნადირი, მანძილი, დრო შეამოკლა და სხვა. მაგრამ სნეულება განუკურნებელი რჩება მიუხედავად იმისა, რომ სასწაულების დღეები მრავლდება იმდენად, რომ წლის დღეებიც არ ჰყოფნის.

ყოველი ხანის განმავლობაში იგონებს ახალ საშუალებებს, რომ ბუნება დაიმორჩილოს და კიდევაც აღწევს მიზანს. სნეული მაინც სნეულად რჩება! წამალს თავის გარეთ ეძებს, იმ დროს, როცა ის მის არსებობაში არის და ეს წამალი კი არის თვით თავისი თავის დამორჩილება.

დღემდის ადამიანის სურვილები განუზომელი რამ არის. რამოდენი ქონებაც არ უნდა ჰქონდეს, კიდევ უფრო დიდი ქონების სურვილი იღვიძებს მასში და ასეთ ნაირად უნდა სხვაზე ძლიერი გახდეს. თუ სხვისი არ შეიძინა, ანუ არ მიითვისა, სხვაზე ძლიერი ვერ შეიქნება და ამიტომ მეტოქეობა იწყება ერთი მეორესთან. მეტოქეობა კი იწვევს გამუდმებულ ბრძოლას და ეს ბრძოლა ხშირად სისხლის ღვრით თავდება პიროვნებათა შორის. რომელიც იმარჯვებს, ის მეორეს მკვდარ ვეამზე დაადგამს ფეხს და გამარჯვებულად მხიარულობს. მაგრამ მისი მხიარულობა არ არის მუდმივი, რადგან შემდეგში მასზე ძლიერი ჩნდება და მასაც ისეთ დღეს აყენებს, როგორიც მან მის მსხვერპლს მიაყენა. სამწუხაროდ, ასეთია ადამიანთა დამოკიდებულება ურთიერთ შორის: ძმა ძმას არ ინდობს, ოჯახი — ოჯახს და ტომი — ტომს. ასეთი დამოკიდებულებაა პიროვნებათა, ოჯახთა და ტომთა შორის.

საშუალო საუკუნედან კი იწყება და ეწყობა ახალი მდგომარეობა. ერთ ტომთა და შთამომავლობათა შეერთება და ეროვნებად ჩამოყალიბება იწყება. ადამიანის თვისებები კი შეუცვლელი რჩება და ეს თვისებები გადადის იმავე ეროვნებაში. ამის შემდეგ არა მარტო პიროვნების დამორჩილებაზე და მასზე გაბატონებაზე ფი-

ქრონს კაცობრიობის ნაწილების მიმართულება, არამედ მთელი ერის დამორჩილებაზე და მისი არსებობის მოსპობაზე. და ეს იწვევს გაერთიანებულ ბრძოლას, სისხლის ღვრას, რადგან მებრძოლთ, ბუნებრივად, სურვილი აქვთ თავისი მეობა შეინარჩუნონ და მეორის მონად არ შეიქმნენ. ერი კი, რომელიც ძალით მეორეს იპყრობს და იმონებს, თავისი საზღვარით სხვა ერებს უახლოვდება და მადა ეღვიძება, რომ ისინიც, სხვებიც, დაიმორჩილოს, რომ მეტოქეობა არ გაუბედონ. ამ რიგად ბრძოლა გაუთავებელი ხდება.

როცა სხვა ერების დამორჩილებით რომელიმე ერი ძლიერდება, ამ რიგი გაძლიერების სურვილი სხვა, შორეულ მისგან, ერებსაც ეღვიძება და გაძლიერებული ერის დასუსტებაზე დღე და ღამ ფიქრობენ. და დაბადებიდან, კაცობრიობის მიმდინარეობაში, აშკარად ჩანს, რომ დიდი, გაბატონებული და ამაყი ერი თვით გახდა მონად და აგრეთვე, როგორც ეროვნება, სრულიად ამოიშალა, როგორც ერთეული, რომელსაც თვით განვითარების ძირი საკმაოდ არ ჰქონებია გადგმული, — აღარ ჩანს მისი მეობა და სახეობა.

ეს ცხოვრების სიდუხჭირე არც ჩვენს მშობელ საქართველოს არ ასცდენია თავიდან. მასაც ბორძიკით უვლია და ბოლოს მისულა ისეთ თვითგანვითარებამდე, რომ მაშინდელ ეროვნულად და სახელმწიფურად ჩამოყალიბებულ ერების წინაშე სრულის თანასწორობით და პატივით ყოფილა მისი პიროვნება წამდგარი და არც ერთ ერზე ნაკლები პატივისცემა არ ჰქონებია. იმ დროს ის არა თუ სხვის მფარველობას საჭიროებდა, არამედ სხვები თხოვდნენ მას მფარველობას და შველას. მისი მეზობლები არა თუ მარტო პატივისცემით ეპყრობიან, არამედ ხშირად სიყვარულსაც უცხადებენ. აქ კი უნდა ითქვას მგოსნის სიმართლე: „შიში შეიქმს სიყვარულსა“-ო.

საქართველოს ასეთი ძლიერების ხანა იწყება მეათე საუკუნედან და თანდათან წინმსვლელობს მეცამეტე საუ-

კუნის ნახევრამდე, ე. ი. სრული სამასი წელიწადი. რო-
გორც ვხედავთ, ეს სამასი წელი ცოტა დრო არ არის.
ძლიერ ნაკლებად იხსენიებიან ერები, რომელთა დაბადე-
ბა ამდენი საუკუნით ხანგრძლივი იყოს თვითგანვითა-
რებით. საქართველოს კი ეს სამი საუკუნე კიდევაც გამო-
უყენებია; მას ყველაფრისათვის ანგარიში მიუცია და თა-
ვის არსებობისათვის ისეთი ფუძე ჩაუყრია, რომ დღესაც,
მეოცე საუკუნეშიდაც, მითი ვცოცხლობთ. ეს ფუძე ის
არის, რომელმაც აიძულა თვით შეგნებული და განათ-
ლებული კაცობრიობა თავის ლექსიკონში შეეტანა ასე-
თი თქმულება: — ქვეყნიერების ხალხთა შორის ყვე-
ლაზე ტკბილშობილესი, უგანათლებულესი და ულამა-
ზესი, არის ქართველი ერი"-ო.

საქართველოს კი ამ ხანის მსვლელობაში დიდის სიფ-
რთხილით და მოსაზრებიანად შეუზავებია სულთ-მეც-
ნიერება და მოქალაქობრივი მწიკნობრობის განვითარება.
აქ ერი, ძირიდან თავამდე, ასხმული არის გონებრივად.
მთელი სხეულის ყველა ნაწილი თანაბრად ვითარდება და
უახლოვდება მიზანს. მიზანი კი არის ძლიერებით და ზნე-
ობრივადაც მეზობლებზე გავლენა იქონიოს. მიზნის მიღ-
წევას გვიმტკიცებს ის, რომ ის პატარა ერები, რომლე-
ბიც იმ დროს საქართველოს ტახტს თავს აფარებდნენ, არა
თუ მის წინააღმდეგ რადესმე გაუბრძოლიათ, არამედ იმ
ხანის მათი ისტორია ასახელებს ყველაზე საუკეთესო
დროთ თავისი ერის ცხოვრების და განვითარების მიხედ-
ვით (სომხეთის და ნაწილობრივ არაბთა).

განა შემთხვევით მოვლენად უნდა ჩაითვალოს საქართ-
ველოს ცხოვრებაში ის, რომ წელიწადში ერთხელ ბატონი
და ყმა ერთ სუფრას უსხდებიან და თანასწორად ნადი-
მობენ? კიდევ და მთავარი ის არის, რომ ბატონებს ჩვე-
ულებათ ჰქონდათ აღებული, რათა ღვიძლი შვილი საკ-
ვებად მიეცათ თავისი მოყმის ოჯახში, რომლის ოჯახის
დედა თავისი მკერდით ასაზრდოებდა ყმაწვილს, სანამ
ის თვითონ შეიძლებდა თავისი ხელით საზრდოს მიღებას!

რასაკვირველია, ეს მოვლენა შემთხვევითი არ არის! ეს მხოლოდ ამტკიცებს ადამიანობის უმაღლეს შეგნებას იმ დროისათვის, სისხლით გაერთიანებას და ერთი მეორის დაფასებას, როგორც კაცი — ადამიანის..

ჩვენ გაგვიგია სხვა ერთა ისტორიიდან, რომ ბატონი თავისი ძაღლის ლეკვებს აძლევდნენ თავისი ყმის ოჯახის დედის ძეძუთი საკვებად (რუსეთი!). აქ არავის დამცირების მიზანი არა გვაქვს მხოლოდ აღვნიშნავთ იმას, თუ რამდენად ქართველი ერი განვითარებული ყოფილა ადამიანური ზნეობით. ყველა ერს თავისი განვითარების თავისებური გზები ჰქონებია და დღესაც ასეა. და ამიტომ დავუბრუნდეთ ჩვენს სამშობლოს, საქართველოს.

ზემო აღნიშვნით, საქართველო სხვა თვითგანვითარებულ ერებზე დაბლა არ მდგარა, როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის მიმართ; არამედ ბევრთან სწორი ყოფილა და ბევრზე კი მაღლა მდგარა. და ის ერები და სახელმწიფოები, რომლებიც დღეს განაგებენ თითქმის მთელი კაცობრიობის ცხოვრებას, იმ დროს სრულიად უმნიშვნელო არსებას წარმოადგენდნენ, როცა საქართველოს სახე და სახელი სრულის ახატულობით იყო წამდგარი მაშინდელ ერთეულთა წინაშე.

მაგრამ, მაგარი ის არის, რომ ეს სრულებით საყოფი არ აღმოჩნდა, რომ მას შესძლებოდა მუდმივად შეენარჩუნებია თავისი დამოუკიდებელი არსებობა და მეობა. მას კარს მიადგა, სულ შორიდან, მისთვის უცნობი ჯგუფის, შეიძლება ითქვას, ხალხი, უფრო კი, ხალხთა გროვა, სახელმწიფოდ ჩამოუყალიბებელი, რომელსაც აღძროდა სურვილი, თავისი დიქტატორით, მთელი კაცობრიობის დაპყრობის და მისი მონად ქცევისა (მონღოლეთი — ჩინგის ხანი). და ეხეთქა საქართველოს ზღუდეებს, რომლისაგანაც მისი კედლები შეიძრნენ, მაგრამ მთლად არ დაინგრნენ, თუმცა დიდად დაზიანდნენ. შებორძიკდა საქართველო, მაგრამ თავი შეიმაგრა და სავსებით არ დაეცა. მტერი კი თავს ესხმის ყველა მხრიდან, რადგან საქართ-

ველოს ირგვლივ მეზობლები უკვე დამორჩილებული ჰყავდა, ის, საქართველო აღმოჩნდა მომწყვდეული ტალღების შუაში. როგორც განმარტებული კუნძული: ვერ ვაუძლო მუდმივ ტალღების ცემას, რითაც დასუსტდა და დაჰკარგა თავისი ფრთები. ეს არის მეთოთხმეტე საუკუნე, როცა საქართველოს გულს მხრებიდან ფრთები მოწყდებიან და ისინიც ატომებად განცალკევდებიან (მესხეთი — ჭანეთი). ის, ხალხების გროვა, რომელმაც საქართველოს ასეთი დიდი ზიანი მიაყენა. თუმცა გაიფანტა და მხოლოდ ისტორიით აღინიშნება. მაგრამ საქართველოს დასუსტებულს, ეხლა ახლო მეზობლები არ აძლევენ საშუალებას მუდმივი თავდასხმებით, რომ კვლავ ფრთები არ მოიმაგროს და წინა ძლევამოსილება შეიძინოს; მისი მოჭრილი ფრთები მტრების საჯიჯგნად შეიქნენ. მათ ჯერ რჯული წაართვეს და შემდეგ დედაენის ამოგლეჯას შეუდგნენ. მაგრამ გული საქართველოისა ისეთი ძლიერი გამოდგა, რომ ახერხებდა ძარღვებით სისხლი მიეწოდებია მათთვის და ნათესაობას არ აკარგვინებდა. ის, საქართველო ჩუმის ხვრელებით გადადიოდა მათში: ნათესაობა არ იკარგებოდა და მომავალს იმედიანად შეჰყურებდა. გული კი აჩქარებით ცდილობს ფრთები გაამთელოს და მიიკრას მხრებზე. ამ მიზნით მომხმარეს დაეძებს.

კაკოპრიობის განათლებული ნაწილები კი თითქმის იმავე მდგომარეობაში არიან, როგორშიდაც საქართველო იმყოფება (საბერძნეთი და სხვა). და აი, ამ დროს ესმის ხმა ჩრდილოეთიდან, რომელიც გაიძახის: ქრისტე აღსდგა! სიმართლე აღსდგა! ძე ღვთისა. სიყვარულისა! და საბელითა მისითა თვითონ აღსდგა მკვდრეთით. ისიც ყოფილი მონა იმის, რომელმაც შეანგრია საქართველოს მდგომარეობა; მას თვითონ შეუთვისებია და შეუსისხლხორცებია იმავე თავისი ბატონების გაფანტული ნაწილები (თათარ — მონღოლეთი) და გაძლიერებულა.

ეს ეც საქართველოსთვის უცხოა და უცნობია: ხასია-

თით, ზნეობით და მიმართულებით, მაგრამ „ქრისტე ალ-
სდგა!“ მასთან აახლოებს და ფიქრობს მისი დახმარებით
თავი გადაირჩინოს, გამომრთელდეს და ფეხზე დადგეს. სა-
ქართველოს გულის მმართველთ იმ დროს ერთსულოვ-
ნება არ ჰქონიათ ასეთ მიმართულებაზე; ამიტომ სავსე-
ბით კითხვის გადაჭრა გრძელდება მეთვრამეტე საუკუნის
ნახევრიდან იმავე საუკუნის მიწურულამდე. აქედან ჩანს,
რომ საქართველოს მოამაგეთ დიდი ნდობა არ ჰქონიათ
იმ ძალის მიმართ, რომლის დახმარებითაც უნდა გამრთე-
ლებულიყო საქართველო და წინადროულად, თავისუფ-
ლად ფეხზე დამდგარიყო და შეწყვეტილი წინმსვლელო-
ბა კვლავ განეგრძო. მაგრამ დაწყებული დასუსტება თან
და თან ძლიერდება. გული საქართველოისა გრძნობს, რომ
ნებსით თუ უნებლიეთ, მეზობლების სათამაშოდ შეიქნე-
ბა. და აი. ამ დროს სწორედ მისი მამამთავარი გადაჭრით
ამჯობინებს შეჩვეული ჭირის დასაღუპავად ახალს. შეუ-
ჩვეველს მიენდოს, რომ მათ შორის ქიშპობა შეიქნას და
მითი შეიძლება სიმრთელე შეიძინოს! და საქართველო
მიენდო, დიდი ერეკლეს მეთაურობით, იმ დროს ქრისტი-
ანულ და დიდ რუსეთს!

რაც არასდროს მომხდარა კაცობრიობის ცხოვრებაში,
ის განა შესაძლო იყო საქართველოსთვის მომხდარიყო?
ესე იგი: რომ გარეშე შეიარაღებული ძალა შესულა მე-
ორეს ოჯახში მის დასაცავად, გასაღონიერებლად და იმა-
ვე ოჯახის მტრების წინააღმდეგ ებრძოლოს, თუ მას
ოჯახზევე გაბატონება არ ჰქონდეს მიზნად? ასეთი რამ
კაცობრიობის დაბადებას არ ახსოვს და არ მოსხდარა. წი-
ნააღმდეგ, ყოველთვის: ვითომც მოყვრულად შესული სა-
ხელმწიფო მეორე სახელმწიფოში, თვითონ შეცდილა მას-
ზე გაბატონებას და ასეც დაემართა საქართველოსაც.

უთუოდ ერეკლე მეფემ და მისმა შემწეებმა ყოველივე
კარგად იცოდნენ იმ დროს, ვიდრე ჩვენ, მაგრამ არის ცხო-
ვრებაში ისეთი განცდები, როცა კაცი თავს იტყუებს,
თვალებს ხუჭავს და ისმენს მოწინააღმდეგის მტკნარ სი-

ცრუეს და დაპირებებს, თითქოს ჯერა მისი, რადგან სხვა გამოსავალი აღარ აქვს; ღრმა ორომოშია ჩავარდნილი.

და შეჰკრა ერეკლე მეფემ რუსეთთან შეთანხმების პირობები, რითაც რუსეთი საქართველოს შინაურ ცხოვრებაში არ ჩაერევა, არამედ ხელს შეუწყობს ძალით, რომ სხვა სახელმწიფოების წინაშე, რუსეთის საშუალებით, საქართველოსაგან მტრის მიერ წანაგლეჯი ნაწილები შეშემოეერთოს მტრის მიერ წანაგლეჯი ნაწილები. ამასთანავე საქართველო ვალდებულია, რომ სხვა სახელმწიფოების წინაშე, რუსეთის საშუალებით ჰქონდეს მოლაპარაკება და კავშირი.

სწორედ ეს უკანასკნელი მუხლი არის მთავარი და უმნიშვნელოვანესი! ამ მუხლის ძალით საქართველოს სახე და პიროვნება ამოშლილი არის კაცობრიობის წინაშე; მისი მეობა იკარგება! რა მეობა იკარგება, მაშინ მსაჯულსაც აღარა აქვს ნიადაგი იმსჯელოს, რადგან არ არსებულზე მსჯელობა შეუძლებელია. მსაჯული კი ორ მოდავეთა გარეშე უნდა იყოს; თუ ერთი აკლია, საჩივარი უსაბუთოდ რჩება! უარჰყავ რა მეობა, მაშინ ნივთად ხარ ქცეული, როგორც განძეული, რომელიც პატრონის სრულ განკარგულებაში ვარდება: სურს — გაგყიდის; სურს — თავისთვის შეგინახავს; სურს — გადაგადნობს!

და სწორედ ასეც მოხდა იმ პიროვნების სიცოცხლეშიდაც, რომლის, თითქმის, სრული მოსაზრებითა და შიხედულებით დაიდო ხელშეკრულება საქართველოსა და რუსეთს შორის. ეს იყო ერეკლე მეფე, რომელიც დღე და ღამ ფიქრობდა იმაზე, რომ სამხრეთი ნაწილი საქართველოისა, აკვანი მისი განვითარებისა და განათლებისა, მესხეთი, კვლავ შემოერთებია საქართველოზე. ამ მიზნით სამხედრო ძალები დააგროვა და მის „მეგობარს“ რუსეთს დახმარება მოსთხოვა. რუსეთმაც ჯარი გამოგზავნა საქართველოში, მაგრამ, ერეკლე მეფის დახმარების მაგიერ, ჯარი მცხეთაში დააბანაკა და ბრძოლას განზე გადგა. წინააღმდეგ დახმარებისა, თბილისში და სადაც მი-

წვდებოდნენ. ხმა გაავრცელეს, თითქოს საქართველოს საყვარელი მეფე ერეკლე ომში დაიღუპაო!

მისახვედრია, თუ რა მიზანი აქვს „მეგობარს“! იგი ფიქრობს, რომ მის დაუხმარებლად ქართველი მეომრები დამარცხდებიან და თავისი ჯარით იგი დედაქალაქ თბილისში „წესრიგს“ დაამყარებს!

ამ შემთხვევაში შეცდა „მეგობარი“ რუსეთი. ქართულმა ჯარმა, მეფე ერეკლეს მეთაურობით, ოსმალეთი დაამარცხა, მაგრამ რადგან საკმაო ჯარის მარაგი არ დაურჩა, მტერს ვერ დაედევნა და თბილისში დაბრუნდა. თვალეში დახუჭა, ვითომც ვერ მიხვდა „მეგობარი“ რუსეთის მთავრობის ყალთაბანდობას და მასვე მიმართა საჩივარით, რუსეთის ჯარების მეთაურზე, რომელიც მცხეთაში დაბრძანდა და უცდიდა თვით ერეკლეს დაღუპვას. ერეკლეს საჩივარზე პასუხი გასცა „მსაჯულმა“ რუსეთის მთავრობამ იმით, რომ ის ჯარის უფროსი თითქოს დასაჯა და აღმატებით დაჯილდოებული, რუსეთის სხვა დაპყრობილ მხარეს გადაიყვანა (გენერალი ტოტლებენი). ვანა თავის თავს „მეგობარი“ რუსეთის მთავრობა დასჯიდა ღალატისათვის? მოღალატეს, დღემდის, თავისი თავი არ დაუსჯია, რადგან ის ყოველ ზნეობრივ მხარეს და სინიდისს დაშორებულია; მისთვის სულ ერთია ყოველი საშუალება, თუ კი მიზანს მიაღწევს (გადმოცემით, გამონაკლისია იუდა!).

საქართველოს არც მეორე მეზობელმა მოუწონა რუსეთთან დაკავშირება. სპარსეთმა შური იძია და აღმოსავლეთის ნაწილი სრულიად გაანადგურა ცეცხლითა და მახვილით. ორივე შემთხვევას ღიმილით შეჰყურებს „მეგობარი“ რუსეთი, თუმცა ერეკლე მეფეს სამკლოვიარო სიტყვებით უმასპინძლდება.

ამ რიგად, საქართველოს მოამაგეთ ნათლად დაინახეს, თუ ვისთან დაიკავეს მეგობრობა, მაგრამ გვიან-ღა იყო საქმის შებრუნება! შუაგულ ტბაში აღმოჩნდა და მარდი

ცურვა უნდა მოემართა, რომ მთელი ერი სავსებით არ მომსპარიყო.

რუსეთის სასიხარულო დროს არ დაუგვიანებია დიდი ხნით. ღრმად მოხუცებული მეფე ერეკლეც გარდაიცვალა, რომელშიდაც გამოიხატებოდა, ჯერ კიდევ, საქართველოს გვირგვინი, სიმბოლიურად მაინც, ხელწეკრულობის შემდეგ, სამი წლის შემდეგ მისი შვილიც, გიორგი მას გაჰყვა საიქიოს და ამის შემდეგ თვით რუსეთის მეფემ „იკადრა“ თავის თავზე დაედგა საქართველოს სამეფო გვირგვინი „სახელითა ღვთისათა... და საქართველოს საბედნიეროდ“.

„გაბედნიერება“ მართლაც იქნებოდა, რომ ქართველი ერი „უღირსი“ არ ყოფილიყო, რუსული შეხედულებით: პირველი — წირვა-ლოცვა რუსულად; მეორე — სწავლა-განათლება რუსულად! რაღა გინდა მეტი! გახდები დიდი ერის — სახელმწიფოს სწორუფლებიანი წევრი და მისი სახელით შეგიძლია იამაყო! ქართველობა რა საჭიროა! ამ სახელით ხომ სხვის წინაშე ვერ წარდგები?!

მაგრამ რუსეთმა თავისი „სიყვარული“ საქართველოს მიმართ მით ვამოიჩინა, რომ მისი მიწა-წყალი ხალხით შეავსო; მერმე რომელი ხალხით?! იმ ხალხით, რომელმაც ქართველობა არ იცოდა: არც ენით და არც ხასიათ-ზნეობით. სამაგიეროდ, თუ რომელიმე კუთხე საეჭვოდ მიაჩნდა, მაგრამ ქართული იყო, „ბუსურმანებად“ გამოაცხადა და ქართულ ტულს სავსებით მოუსპო საშეალება მასთან კავშირი ჰქონებოდა (აჭარა!).

აშკარაა, თუ რა მიზანი აქვს საქართველოს „მეკობარს“: ისე აჭრელებს საქართველოს მიწა-წყალს, რომ ერთი მეორეს ვერ ცნობდეს, ისეთ ნაირად დაასუსტოს, რომ თავისი მეობა დაავიწყოს და ფიქრი და აზროვნება წმინდა რუსული შეათვისებინოს.

აქაც მარცხდება ის, როგორც ბოლოდ დავინახათ, რადგან მან, რუსეთმა არ იცოდა და არც ჰქონდა უნარი შეეცნო, თუ როგორ სკოლაში იყო გავლილი საქართვე-

ლოს დაბადება (ისტორია) მაგრამ ერთი კი მართლაც გაუმართლდათ საქართველოს მოამაგეთ: მოიმაგრა რა ნიადაგი საქართველოზე. რუსეთი პირისპირ აღმოჩნდა მის, საქართველოს მტრების წინაშე. შეხვედრა არ იყო მოყვარული. რუსეთი უფრო ძლიერი აღმოჩნდა და მათაც კბილები ჩაემტვრათ. მათგან მონანიების დროც დაგვიანებული იყო; ისინიც თანდათან სუსტდებოდნენ; უმთავრესად საქართველოს დაუძინებელი მტერი, ოსმალეთი. ის სრულ დაღუპვამდე მივიდა, რომ მას არ გამოჩენოდა მოსარჩლე. ინგლისს სარგებლიანობა მოითხოვდა, რომ ოსმალეთი მთლად არ წაქცეულიყო და მის მაგიერ. მის ალაგას მძლავრი მოქიშპე არ მოსულიყო (ინგლისი — კონსტანტინოპოლი!) ამ რიგად, ასი წლის ცანმავლობაში, საქართველოზე მაგრად ფეხის დაგმით რუსეთი ცდილობს დასავლეთელებს გზები შეუკრას ბოსფორ - დარდანელის სრუტეებით და მით მას აღმოსავლეთისაკენ თავისუფალი ნავარდობის საშუალება მიეცეს. ამავე ხნის განმავლობაში იმავე დასავლეთს თითქმის შუა გულში ეკრება (პოლონეთი). აქ კი გაისკვნა საერთაშორისო კვანძი. საერთაშორისო სარგებლიანობის მიზნით, არ გაიხსნა, არამედ ხმლით უნდა გადაჭრილიყო. და აი, აქ გამოჩნდნენ რუსეთზე უფრო ძლიერნი. მისი მეზობლები.

მეთვრამეტე საუკუნის დასათავეს და მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში. ნაპოლეონის ძლევამოსილებამ დიდად შესძრა დასავლეთი და რუსეთის მდგომარეობაც შეარყია. მაშინაც იმედი აღეძრათ ქართველ მოამაგეთ; მაგრამ რადგან მაშინდელი ლიზენგი ვერ ამართლებდა ეროვნულ მიდრეკილებას, არამედ საერთო წინმსვლელობას, მით რუსეთი უფრო გამაგრდა, რადგან შინაური მისი ცხოვრებისათვის წინმსვლელობა დაიწყო (ბატონყმობის მოსპობა).

მეოცე საუკუნის დასაწყისში კიდევ შეირყა რუსეთის მდგომარეობა; მაგრამ მის მიერ დაპყრობილ ერებისათვის არ გამოდგა სასარგებლო, რადგან აღმოსავლეთით

ძლიერი სახელმწიფოს გამოჩენა და რუსეთის იმპერიის ძლიერ დასუსტება არ იყო, სარგებლიანობის მიხედვით, მისაღები დასავლეთისათვის და ამერიკისათვისაც (რუსეთ-იაპონიის ომი — 1904 წ.). დიდი ხანი არ დასჭირდა მას შემდეგ იმას, რომ ყველა მომძლავრებულ სახელმწიფოებს, საერთაშორისოდ, გაბატონების სურვილი არ აღძროდა და ყველა თავისი სარგებლიანობის მიხედვით რაზმავს, როგორც შინაურ ცხოვრებას, ისე თავის მიზანთან დაახლოებულ მეზობლებს.

და მოხდა შეჯახება ამ ძალების ურთიერთ შორის 1914 წელს. და მოწამე ვართ ჩვენც იმისა, თუ რით დათავდა ეს სისხლის ღვრა; მეომარი სახელმწიფოები, რომლებიც არ იყვნენ მომზადებული ახალი ცხოვრების მოწყობისათვის და ძველი იმპერიალისტური მიზნებით ომს აწარმოებდნენ და საზღვრების გაფართოებას ლამობდნენ, დამარცხდნენ.

აქ უნდა აღინიშნოს ის, რომ ამერიკა პირველად ჩაერია საერთაშორისო დასავლეთის და აღმოსავლეთის საქმეებში, თავისი სამხედრო ძალებით. მისმა თოთხმეტ-მუხლიანმა ლოზუნგმა სავსებით სხვა ხაზით წაიყვანა ომის მიმდინარეობა და ისინიც, ვისაც ესაჭიროებოდა ამერიკის დახმარება; ნებსით თუ უნებლიეთ ხელს უწერდნენ თოთხმეტ მუხლზე. მთავარი კი ამ მუხლთა შორის ის იყო, რომელიც აუწყებდა კაცობრიობას, რომ ერები თავისუფალი უნდა გამხდარიყვნენ: არავინ არ უნდა იჩაგრებოდეს, რომ სისხლის ღვრას ადამიანთა შორის ნიადაგი მოეს ესპოსო. და...

დათავდა სისხლის ღვრა 1918 წელში. რუსეთი დამარცხებული აღმოჩნდა: მისი ძალები ისე დასუსტდნენ, რომ თავის შინაურ, წმინდა რუსულ საქმეების დაწყობას ვერ ახერხებს. სამოქალაქო, ძმათა სისხლის ღვრა გრძელდება. და აქ კი ის ერები, რომლების სახე დიდი რუსეთის სახურავით იყო დაფარული და არავის ახსოვდა, მაგრამ თავისი დაბადებით (ისტორია) და განვითარებით სხვებს

არ ჩამორჩებოდნენ, ზე წამოდგნენ და კაცობრიობას თავისი საკუთარი სახით წარუდგნენ. ამათ შორის საქართველოსაც უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს. საერთაშორისო მდგომარეობამ მისცა მას, საქართველოს, საშუალება კვლავ გაღვიძებულიყო მასში ის უნარი, რომელიც ძირად გაედგა მისთვის სამი საუკუნის თვითგანვითარებას, ე. ი. მეათე საუკუნის ნახევრიდან მეცამეტე საუკუნის ნახევრამდე.

ადვილი საქმე არ იყო თავისი სახის გამოჩენა საქართველოსათვის: განათლებული ნაწილი მისი, უმრავლეს შემთხვევაში, რუსულად აღზრდილი აღმოჩნდა და დიდად მეჩყეობდა მაგრამ ერის გული ისეთ მძლავრად ამოძრავდა. რომ ისინი ყველა დაიმორჩილა, ერთი წვეთი სისხლის დაუღვრელად და აი, მისი ნაყოფიც არის ეს ოცდაექვსი მაისიც!

ქართველმა ერმა გამოუცხადა მთელ კაცობრიობას, რომ: მე ვარ და კიდევაც ვიყავ! მინდა ვიყო მონაწილე ადამიანობის წინმსვლელობაში! არავის დაბლად არ ვთვლი თავს და ძალაც მაქვს წინმსვლელობას დავეხმარო კაცობრიობის საბედნიეროდ.

იმ დროს, როცა კაცობრიობის ერთი მეექვსედი ნაწილი სისხლში ისვრებოდა სამოქალაქო ომით, რომლის ნაწილსაც საქართველო შეადგენდა ასჩვიდმეტი წლის განმავლობაში, ნუ თუ შეგვიძლია არ ვთქვათ, რომ ასეთი საქვეყნო განცხადება საქართველოს მხრივ „სასწაულიაო“ და ასედაც უნდა ჩაიწეროს მის დაბადებაში!

დიაღ! ეს სასწაულია, რადგან მკვდრეთით აღსდგა საქართველო და ეს დღე დღეთასასწაულად დარჩება, სანამ თუ გინდ ერთი ქართველი დარჩება კაცობრიობაში.

ოცდაექვსი მაისი შვილია შოთას საუკუნის და რა ძალაა შეუძლია იგი მოსპოს?!

მხოლოდ ქართველის სრულიად მოსპობით შეიძლება მისი ამოშლა კაცობრიობის ცხოვრებიდან! და ამას გვი-

დასტურებს ერთი დიდი მოვლენა, რომელსაც ცოტა ქვემოდ დავინახავთ.

ოცდაშვიდი წლის დათავებული საერთაშორისო ომის ნაყოფად ის დიდი ამბავი დაერთო, რომელიც კაცობრიობისათვის დაუვიწყარია: თოთხმეტი მუხლის ლოზუნგების ცხოვრებაში განსახორციელებლად შესდგა საერთაშორისო ყრილობა ხალხების წარმომადგენლობისა: როგორც აღმოსავლეთის და დასავლეთის, ისე სამხრეთისა. გამონაკლის შეადგენს მხოლოდ ჩრდილოეთი. და ამას მოულოდნელად ნუ ჩავთვლით.

თუმცა რუსეთმა სამოქალაქო ომი დაათავა და ახალი საკაცობრიო ლოზუნგი „სოციალიზმი" გადაისროლა. მაგრამ მის შინაარსში იკიევ წმინდა რუსული მიდრეკილება შეახვია და ადამიანურ ლოზუნგს ისეთი ჭუჭყი შეაფრქვია, რომ კიდევ დიდი, დიდი დრო დაჭირდება, რომ ამ ჭუჭყიდან განიბანოს და კაცობრიობა მას ნდობით მოეპყრას. ახალ ქურქში გახვეულმა რუსეთმაც განაცხადა ეროვნებათა დამოუკიდებლობა და თავისუფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი ისინი ბოლშევიკურ სოციალიზმს მიიღებდნენ და იმავე რუსეთის მოკავშირე იქნებოდნენ, მოსკოვის ხელმძღვანელობით.

ამასთანავე ერთა ლიგა ვერ გამოდგა თავისი დანიშნულების სიმაღლეზე. იქაც ძველმა ავადმყოფობამ იჩინა თავი, რომელიც კაცობრიობას დაბადებიდან აწვალებს. აქაც ურთიერთის დამცირებამ და გაუმაძღრობამ იჩინა თავი მთელის ძლიერებით და ბორძიკი დაიწყო მთავარ საკაცობრიო საკითხების გადაწყვეტაში. აქედან მისი სისუსტით სარგებლობის სურვილი ერთეულებშიდაც გადავიდა და საკაცობრიო იდეალები თან და თან უკან რჩებოდა. ზოგმა მოინდომა ისეთი პოზიციების დაჭერა, რომლის საშუალებით, მომავალში, ქონებრივად სხვებზე ძლიერი დარჩებოდა, ესე იგი, მეორდებოდა ომის წინა მიდრეკილება.

მაშ, ჯერჯერობით დაუმწიფებელი გამოდგა კაცობ-

ირიბა იმისათვის, რომ სინდისიერი დამოკიდებულება განამტკიცოს კაცთა შორის. რუსეთმაც ისარგებლა ამით და თავისუფლად დაიწყო ძველი გზით სიარული. ფიქრობს, ქვეყანა ჩალით დახურულია და მის ყალთაბანდურ „სოციალიზმს“ ვერ მიუხვდებიან! თუ ვერ დავიმორჩილებ. გადავწვავო! ჯერ-ჯერობით ახლო მოსაზღვრე ხალხები დაიპყრო „სოციალისტურად“ და ბოლოს, მისგან ცნობილი, რომლის წინაშეც ფიცი დასდო, რომ არასდროს საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ არ ვიმოქმედებო (ლენინი), იმავე საქართველოს თავს დაესხა მზაკვრულ-ლაჩრულად და მისი სუვერენობა მოსპო! ერთა ყრილობა (ერთა ლიგა) უკმაყოფილებას გამოსთქვამს რუსეთის ასეთ მოქმედებაზე; მაგრამ რადგან თვით ყრილობა ზნეობრივად მაღლა მდგარი ვერ აღმოჩნდა, რუსეთს საქმით ხელი ვერ შეუშალა: დარჩა საქართველო დაპყრობილი!

ათას ცხრაას ოცდა ოთხ წელს ერთხელ კიდევ ამხილა საქართველომ განათლებულ კაცობრიობას თავისი დიდი უკმაყოფილება და ვეებერთელა რუსეთს აღუდგა იარაღით ხელში და შესწირა თავისუფლებას ათი ათასამდე საუკეთესო შვილი. განათლებული კაცობრიობა თითქმის სინდისმა შეაწუხა. იმანაც „ნაციათა ლიგაში“ წყრომა გამოუცხადა რუსეთს, მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვიერი საშიმარი იყო. რადგან მას საქმიანობის უნარი უკვე დაკარგული ჰქონდა.

თერთმეტი წელია მას შემდეგ, რაც საქართველოს აღარ იხსენიებენ სახელმწიფოში, როგორც სუვერენს და მისი სახელი საერთაშორისოდაც არ იხსენება. ე. ი. იმ დღიდან, როცა ნაციათა ლიგა იმდენად დასუსტდა და დაეცა, რომ იძულებული გახდა რუსეთი თავის სრულ უფლებიან წევრად მიეღო 1934 წელს. მაგრამ, მაგარი ის არის, რომ მისი, საქართველოს დამპყრობი რუსეთი რაღაც მანქანებით იძულებულია ანკარიში გაუწიოს საქართველოს, დაპყრობილსაც. ეს ერი მისთვის მოუნელებელი შეიქმნა.

შინაურ ცხოვრებაში ქათინაურებს არ აკლებს, მაგრამ გარეთ მისი სახელის გაშლას ყოველი საშუალებით უხშობს; იცის რა, რომ ერი ერად მაშინ ითვლება, როცა მისი სახელი საერთაშორისოდ არის ნაცნობი და ამას იგი ებრძვის გაშმაგებით.

მაგრამ ამ დროს საქართველოს მტერმა ფეხი წაიკრა და აქ კი დიდი-დიდი საქართველო ამოგორდა და გამოჩნდა: ჯერჯერობით გავიხსენოთ ს. ს. რ.-ის საერთო მგოსანთა ყრილობა რუსეთის შუაგულში, მოსკოვში. 1937 წელს. იქ ველარ დაიმალა საქართველოს სულიერი და ზნეობრივი სიდიადის ძლევამოსილება და როცა მეთორმეტე საუკუნის, მისი განვითარების გამომხატველი, საქართველოს ღვიძლი შვილის, შოთა რუსთაველის სურათი გაიშალა ყრილობის წინაშე, ერთობ ფეხზე დადგა და თაყვანი სცა მას. სხვა ფერად ვერც მოიქცეოდა პატიოსანი და მოაზროვნე ადამიანი! ან და კიდევ: უფრო ის არის, რომ მთელმა რუსეთმა თავის დღედ-სასწაულოდ მიიღო შვიდას ორმოც და ათი წლის თავი შოთა რუსთაველის გაჩენისა კაცობრიობაში, ე. ი. საქართველოს მაშინდელი შინაარსიანი ცხოვრება თავის თავად მიიღო, როცა თვით რუსეთი ამ საუკუნეებში მაშინდელ განათლებულ კაცობრიობაში არ იხსენიებოდა როგორც სახელმწიფო, ანდა, ფასნაკლებიანობას წარმოადგენდა. აქ არის ოცდა ექვსი მაისის სიდიდე, მისი წარმოშობაც და დღედ სასწაულობაც.

ოც და ოთხი წელია მას შემდეგ, რაც ჩვენ დედის მკერდს მოგლეჯილი და გადმოხვეწილები, ამ უკვდავ დღეს, ჩვენი სამშობლოს გარეთ, მწუხარე ღიმილით ვდღესასწაულობთ; გვინდა ვუთხრათ ერთი მეორეს პირახდილად თავისი წუხილიც და მხიარულებაც. გული და სული კი, იქ, საქართველოში არის! მაგრამ ნუ იტყვით თეორმე იმას, რომ ჩვენი წუხილი იმავე დროს მთელი კაცობრიობის მწუხარება ყოფილა! და ამას ამტკიცებს დღევანდელი მდგომარეობა: კაცობრიობამ ვერ მოაგვარა ურ-

თიერთ შორის კეთილი განწყობილება და კიდევ ეძგერა ხმლით ერთიმეორეს. მეორდება ბაბილონის ამბავი! აქ, იგივე მთავარი, ეროვნული კითხვა ისმება! კაცობრიობის დიდ უმრავლესობას კი, პატარა ერები შეადგენენ. ამ ოკონტრიალში კი უკიდურესი განცდა იმავე ჩვენს სამშობლოს დამპყრობს, რუსეთს აწვება თავზე! და აუცილებლადაც გაიმარჯვებს საქართველოს თავისუფლება, რადგან მისი თავისუფლების პრინციპი დაკავშირებულია ყველა დანარჩენის თავისუფლებასთან.

თუ არ განთავისუფლდა ის, საქართველო, მაშინ ყველა მოკლებული დარჩება მისგან. თუ ამის წინააღმდეგ დათავდა დღევანდელი შეჯახება, მაშინ კაცობრიობა ისევ იმ წვალებაში და წუხილში ჩარჩება, როგორადაც დღემდის არის. მაგრამ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ დღევანდელი განვითარება კაცობრიობას აიძულებს ამ სენიდან განთავისუფლდეს! და

ჯაჭვი ტყვეობისა
კვლავ დალეწილ შეიქნება.
ტყვევნა შვებით შეეცვლება
მისგან ტანჯულ საქართველოს
და ჩვენც, ლტოლვილთ, მის შვილებსაც
მშობლის ნახვა გვეღირსება.

ლეონტი ყლენტი

პრაღა. 26 მაისი.
1942 წელი.

(წაკითხულია ქართული საზოგადოების წინაშე).

I. M. P. - 40, rue des Jeûneurs, Paris-2e